დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
"სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 3 - 4 ოქტომბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 18
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 18
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 41
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 53
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 58
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 71

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სტეფან ვეიტი გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი ბრემენი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	"მენეჯმენტი"	"სახელმწიფო რესურსების მართვა"
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	მენეჯმენტის ბაკალავრი	რესურსების მართვის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [2]	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	261	122
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება N145	აკრედიტებული გადაწყვეტილება N806151

[1] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

2 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[3]

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში "აკადემია") კლასტერში დაჯგუფებული ორი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით:

1. "მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
   - სულ 261 კრედიტი, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად:
     - 124 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტისთვის
     - 8 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სპეციალობის არჩევითი კომპონენტისთვის
     - 119 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსების თავისუფალი კომპონენტისთვის
     - 10 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი კურსების თავისუფალი კომპონენტისთვის

2. "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
   - სულ 121 კრედიტი, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად:
     - 97 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთის
     - 25 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი კურსებისთვის

ორივე პროგრამა ხორციელდება აკადემიაში, მისამართზე: ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კმ, გორი, საქართველო.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა 75 გვერდიანი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ზოგიერთი სასწავლო გეგმა, სილაბუსები და განმახორციელებელი პერსონალის პირადი მონაცემები და სიები ხელმისაწვდომი იყო ინგლისურ ენაზე. დანარჩენი დოკუმენტაცია, განსაკუთრებით ინფორმაცია შეფასების, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ და ა.შ. წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე. საერთო ჯამში, დოკუმენტაცია მოწოდებული იყო დროულად და დეტალურად.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში განხორციელდა 2024 წლის 3 და 4 ოქტომბერს წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები

[3] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

შემდეგ ჯგუფებთან:

- რექტორთან, ვიცე - რექტორებთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, BA და MA პროგრამის ხელმძღვანელებთან.
- თვითშეფასების ჯგუფთან,
- ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან,
- სტუდენტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან,
- დამსაქმებლებთან და
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ვიზიტის პირველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აკადემიის შენობა და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის არსებულ მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, მათ შორის სასემინარო და საგამოცდო ოთახებს, მედია სტუდიას და ბიბლიოთეკას, სპორტულ და დასასვენებელ ობიექტებს, ასევე საერთო საცხოვრებლებს. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს პირველადი მიგნებების წარდგენის მიზნით. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომელიც დაწესებულებამ დროულად წარმოადგინა.

ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ და ძალიან კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს სურს ხაზი გაუსვას უნივერსიტეტის დეპარტამენტებს და სამსახურებს შორის კარგად ორგანიზებულ კომუნიკაციას და თანამშრომლობას და გულწრფელ მადლობას მოახსენებს ყველა მონაწილეს თანამშრომლობის და ვიზიტის დროს დისკუსიებში მონაწილეობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.2

1. **პროგრამა 1** ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა შუალედური კურსები მენეჯმენტის და ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს პროგრამის პროფილს.

2. **პროგრამა 2** ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა გაძლიერებული კურსები (რესურსები) ეკონომიკის და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს პროგრამის პროფილს.

კომპონენტი 1.4

3. **პროგრამა 1** ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის აღწერილობა ისე, რომ კრედიტების საერთო რაოდენობამ შეადგინოს 261 კრედიტი. აღნიშნული უზრუნველყოფს თანხვედრას აღწერილობის ტექსტსა და სავალდებულო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების აღწერილობით ცხრილებს შორის.

4. **პროგრამა 1** ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, "თავისუფალი კომპონენტის" ფარგლებში შეთავაზებული ყველა კურსი იყოს წარმოდგენილი არჩევითი სახით. ამგვარი კომპონენტის იდეა გულისხმობს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანი. ამჟამად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული 119 კრედიტი უკავშირდება სავალდებულო კურსებს, რომელიც გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო კომპონენტში.

5. **პროგრამა 2** ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, არჩევითი კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს 24 - დან 25 - კრედიტამდე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ყველა არჩევით კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. ვინაიდან აღნიშნული ხუთი არჩევითი კურსის გავლა ხორციელდება სამი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო დატვირთვა თავისთავად არათანაბრად იქნება განაწილებული.

6. **პროგრამა 2** ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა შესწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს სავალდებულო და არჩევითი კურსების

ჯამთან. აღნიშნული ამჟამად შეადგენს 122 კრედიტს.

7. **პროგრამა 2** ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენა არ იყოს სავალდებულო. წარდგენამ, რეცენზენტების უკუკავშირის მიღებამ, გადამუშავების მომზადებამ და პოტენციურად პროცესის გამეორებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს სწავლის პერიოდი. გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის ნებას. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მიერ მონაწილეებისთვის კონფერენციებში ჩართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.4

1. **პროგრამა 1** ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   სასურველია, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვის მიზნით გაიზარდოს "საბაკალავრო ნაშრომის" კრედიტების რაოდენობა. სამაგისტრო ნაშრომთან შედარებით ძალიან მცირეა საბაკალავრო ნაშრომისთვის ამჟამად განსაზღვრული 8 კრედიტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვისთვის გონივრული იქნება განისაზღვროს 10 - დან 15 კრედიტამდე.

კომპონენტი 2.4

2. **პროგრამა 1** ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   სასურველია, აკადემიის და საბაკალავრო პროგრამის წესები შესაბამისობაში მოვიდეს გამოცდების შეფასებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვრებთან.

კომპონენტი 4.1

3. **პროგრამა 1** ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
   სასურველია, შემცირდეს ერთი და იმავე აკადემიური პირის მიერ განხორციელებული საგნობრივი სფეროების რაოდენობა. პირის სასწავლო დატვირთვა უნდა მოიცავდეს ერთი და იმავე ან მომიჯნავე სფეროებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ეროვნული თავდაცვის აკადემიის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფს, პირველ რიგში, სურს მადლობა გადაუხადოს აკადემიის წარმომადგენლებს დასკვნის პროექტის დეტალური ანალიზისა და მოწოდებული რეკომენდაციებისათვის. ქვემოთ, ექსპერტები წარმოადგენენ თავიანთ შემდეგ მოსაზრებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ თანახმად, ვიზიტის შემდგომი ცვლილებები (და ახლად მიღებული დოკუმენტები) არ განიხილება; შესაბამისად, ეს რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

ტექნიკური შენიშვნები

აკადემია ამტკიცებს, რომ აკრედიტაციის დასკვნის მე-4 გვერდზე შეცდომით წერია, რომ სამაგისტრო პროგრამა „სახელმწიფო რესურსების მენეჯმენტი“ ანიჭებს 122 კრედიტს და რომ აკადემიის მიერ აკრედიტაციისათვის წარდგენილი პროგრამის მოცულობა 121 კრედიტი იყო. ჯგუფი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. როგორც მოცემულია პროგრამის აღწერაში მე-9 და მე-10 გვერდებზე, სავალდებულო კურსები შეადგენს 97 კრედიტს, ხოლო არჩევითი კომპონენტი 25 კრედიტია (შემოთავაზებული კურსების 60 კრედიტიდან). ეს პროგრამისათვის იძლევა სულ 122 კრედიტს. აკრედიტაციის დასკვნა არ შეიძლება შეიცვალოს და ასახავს ამ პროგრამაში მინიჭებული კრედიტების საერთო რაოდენობას. აკადემია ასევე ამტკიცებს, რომ აკრედიტაციის დასკვნის მე-4 გვერდზე სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო რესურსების მენეჯმენტი“ დასრულებისას მინიჭებული კვალიფიკაცია არასწორად იყო მითითებული. კვალიფიკაციას ეწოდებოდა „საჯარო მართვის მაგისტრი“ და არა, როგორც ექსპერტთა ჯგუფი წერდა, „სახელმწიფო რესურსების მართვის მაგისტრი“. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. თვითშეფასების ანგარიშში მე-4 გვერდზე ნათქვამია, რომ კვალიფიკაციას ეწოდება „სახელმწიფო რესურსების მართვის მაგისტრი“ და შესაბამისად, სწორად არის ციტირებული აკრედიტაციის დასკვნაში. ამიტომ მისი შეცვლა შეუძლებელია. აკადემია აღნიშნავს, რომ მისი წესდება მოიცავს მხოლოდ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელის თანამდებობებს და არა „ფაკულტეტის დეკანისას“. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის ამ შესწორებისათვის და აკრედიტაციის ანგარიში მე-6 გვერდზე შესაბამისად ჩასწორდა.

არგუმენტების განხილვა 1.2 1 კომპონენტის რეკომენდაციებისთვის.

1. რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ საბაკალავრო პროგრამა „მენეჯმენტი“ უნდა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც მხარს უჭერენ პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორიცაა შუალედური კურსები მენეჯმენტისა და ეკონომიკის სფეროებში, აკადემიამ უპასუხა, რომ პროგრამაში არ შეიტანს რაიმე ცვლილებას. ისინი ამტკიცებენ, რომ „აკადემია ამზადებს ოფიცერთა კორპუსს მაღალი ეთიკით, ძლიერი მორალითა და ლიდერული თვისებებით, აღჭურვილს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლებით“. მიუხედავად ამისა, მისი ამჟამინდელი ფორმით, სასწავლო პროგრამა მოიცავს ზოგად კურსებს, როგორიცაა მაგალითად „ზოგადი ფსიქოლოგია“. დასახელებული ასპექტების მენეჯმენტის პროგრამაში ინტეგრირება მარტივად შეიძლება განხორციელდეს, მაგ. ამ კურსების შესაბამის კონტექსტში ჩართვით და ისეთი კურსების შექმნით, როგორიცაა „ბიზნესის ეთიკა“, „ბიზნესის ფსიქოლოგია“ და ა.შ. ამიტომ, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
2. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ სამაგისტრო პროგრამა „სახელმწიფო რესურსების მენეჯმენტი“ უნდა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც მხარს უჭერენ პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორებიცაა (რესურსების) ეკონომიკისა და საჯარო მმართველობის მოწინავე კურსები, აკადემიამ განაცხადა, რომ არ შეიტანს რაიმე ცვლილებას პროგრამაში. ისინი ამტკიცებენ, რომ კურსები, როგორიცაა „ფირმის ეკონომიკა“, „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა“, „საქართველოს ეკონომიკის სექტორული ანალიზი“ არ არის ორიენტირებული მხოლოდ კონკურენტუნარიან ფირმებზე, ანუ წმინდა მიკროეკონომიკურ ანალიზზე“. ექსპერტთა ჯგუფი არ ედავება ამ პოზიციას. თუმცა, აკრედიტაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ (რესურსების) ეკონომიკისა და საჯარო მმართველობის სფეროები უნდა გაძლიერდეს. ამ მიზეზით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

არგუმენტების განხილვა 1.4 კომპონენტის რეკომენდაციებისთვის

3. რეკომენდაციაზე, რომ „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აღწერილობები უნდა განახლდეს ისე, რომ კრედიტების რაოდენობა იყოს 261, აკადემიამ უპასუხა, რომ პროგრამის აღწერილობაში აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა უკვე გასწორებულია. ვიზიტის შემდგომ ცვლილებებთან დაკავშირებით ზემოხსენებული რეგულაციის შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი .
4. რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომ „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის „თავისუფალ კომპონენტში“ შეთავაზებული ყველა კურსი უნდა იყოს არჩევითი, აკადემიამ განაცხადა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, თავისუფალი კომპონენტები შეიძლება შეიცავდეს სავალდებულო და არჩევით კურსებს. ამ ბრძანების შინაარსის გადამოწმებით, მე-6 მუხლი იკითხება შემდეგნაირად: „ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე". ამ მიზეზით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
5. „სახელმწიფო რესურსების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის არჩევით კომპონენტში მინიჭებული კრედიტების რაოდენობის 24-დან 25-მდე გაზრდის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აკადემია იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეხედულებას.
6. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ „სახელმწიფო რესურსების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის მთლიანი საკრედიტო ღირებულება ისე იყოს ადაპტირებული, რომ ასახავდეს სავალდებულო და არჩევითი კურსების ჯამს, აკადემია იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას.
7. რეკომენდაციაზე, რომ სამაგისტრო ნაშრომის რეფერირებად პუბლიკაციაზე წარდგენა სავალდებულო არ უნდა იყოს, აკადემიამ უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არასწორად განმარტა დოკუმენტაცია. აკადემიამ განაცხადა, რომ „მაგისტრანტმა უნდა ... მოამზადოს მინიმუმ ერთი პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს ის რეფერირებად ჟურნალში“. ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, ამაში არავითარი განსხვავება არ არის. არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ წარდგენის, რეცენზენტის გამოხმაურების მიღების, შესწორების მომზადების პროცესმა და პროცესის პოტენციურმა განმეორებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს სწავლის ხანგრძლივობა. ამ მიზეზით, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ცვლილებები კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ბოლო აკრედიტაციების (გადაწყვეტილება N 145 პირველი პროგრამისთვის და გადაწყვეტილება N 806151 მეორე პროგრამისთვის) შემდეგ და უახლოესი თვითშეფასების ჩატარების პერიოდამდე შუალედში. ცვლილებები მიმართული იყო სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, კურსების შინაარსის განახლებაზე და სწავლების მეთოდოლოგიების გაუმჯობესებაზე. ცვლილებებზე გავლენა იქონია აკრედიტაციის დასკვნებში ასახულმა რეკომენდაციებმა, საკანონმდებლო ცვლილებებმა და პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და საგანმანათლებლო სტანდარტებთან უფრო მჭიდროდ შესაბამისობაში მოყვანის იდეამ. კერძოდ, ხელახლა ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები მოკლე და გაზომვადი ზმნებით, განახლდა ლიტერატურა და დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები, მათ შორის სინქრონული და ასინქრონული ელექტრონული სწავლება. პროგრამებში ასევე გაითვალისწინებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკები.

პირველი პროგრამაში ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) განხორციელდა რამდენიმე არსებითი ცვლილება. სხვა ასპექტებთან ერთად, გაიზარდა კრედიტების საერთო რაოდენობა 250-დან 261-მდე და შეიცვალა შეფასების სისტემა, გაიზარდა შუალედური შეფასებების მინიმალური ზღვარი. ეკონომიკის კურსების შემცირებით და მენეჯმენტის ძირითადი კურსების გაძლიერებით როგორიცაა "კვლევის მეთოდები მენეჯმენტის სფეროში" და "კულტურათაშორისი მენეჯმენტი" დაბალანსდა სასწავლო გეგმის სტრუქტურა. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინება წარმოადგენდა მნიშვნელოვან ცვლილებას, სტუდენტების სამხედრო - პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერების მიზნით პროგრამას დაემატა კურსი სახელწოდებით "შიდა ორგანიზაციული პრაქტიკა" , რომელიც მიიღება აკადემიის ერთ - ერთ შიდა დეპარტამენტში სტაჟირების გზით. განხორციელდა საბაკალავრო ნაშრომის გადატანა ბოლო სემესტრიდან მეექვსე სემესტრში, იმისათვის, რომ გამიჯნული ყოფილიყო პირველი სამი წლის აკადემიური სწავლების კომპონენტი გაერთიანებული საჯარისო მმართველობის კომპონენტისგან, რომელიც გათვალისწინებულია ბოლო სასწავლო წელს. გარდა ამისა, გაფართოვდა უცხო ენის არჩევანი თურქული ენის გათვალისწინებით, რაც სტუდენტებს პირველი სემესტრიდ აძლევს მეტ ენობრივ მოქნილობას.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) თავდაპირველად შემუშავდა აიზენჰაუერის ეროვნული უსაფრთხოების და რესურსების სტრატეგიის სკოლის მხარდაჭერით და თავდაცვის განათლების საერთაშორისო ექსპერტების რჩევით. პირველი აკრედიტაციის შემდეგ, ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. ძირითადი

ცვლილებები მოიცავდა დაშვების წინაპირობებში საჯარო მმართველობის საკითხების დამატებას, მაგისტრატურის დონის კომპეტენციებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით დაიხვეწა პროგრამის სწავლის შედეგები, განახლდა ლიტერატურა და კურსების შინაარსი. სტრუქტურული ცვლილებები მოიცავდა ზოგიერთი კურსის გადანაცვლებას სემესტრებს შორის უკეთესი პროგრესიისთვის და გარკვეული არჩევითი საგნების ჩანაცვლებას ან სახელწოდების ცვლილებას სტრატეგიულ შინაარსთან შესაბამისობისთვის, როგორიცაა მაგალითად, "ტერორიზმის" კურსის დამატება და "საერთაშორისო კონფლიქტების და არაკონსტიტუციური სახელმწიფოების" კურსის სახელწოდების შეცვლა"საერთაშორისო კონფლიქტებად". განახლდა ყველა სილაბუსი, იმისათვის, რომ ასახულიყო ერთიანი 16 - კვირიანი კურსის ხანგრძლივობა თანმიმდევრული შუალედური და საბოლოო გამოცდებით. ცვლილებები მიზნად ისახავდა სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებას, პროგრამების უკეთ შესაბამისობას თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიულ სტანდარტებთან და როგორც შიდა შეფასებების, ისე გარე ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებას.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[5]
2. კლასტერული შეფასება[6]

---

[5] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[6] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შფასებულ კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები შემდეგია:

1. "მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები სწავლობს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ კონცეფციებს და მეთოდებს სამხედრო კონტექსტში, საწყის და გაღრმავებულ დონეებზე. სფეროები ფართოდ არის დაფარული, მაგალითად, ეკონომიკური და პოლიტიკური კონცეფციები, რელევანტური ფუნქციები, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, აღრიცხვა, ფინანსები და ადამიანური რესურსები და ისეთი მეთოდები, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და სტატისტიკური ანალიზი. შეფასებული პროგრამების მიზნები შეესაბამება აკადემიის მისიას, მიზნებს და სტრატეგიებს. თანდართული დოკუმენტებით და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია და სრულად შეესაბამება დარგის აღწერილობას. საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტები მიზნად ისახავენ ფართო დარგობრივი ცოდნის განვითარებას, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში ისინი იღრმავებენ პროფესიონალიზმს შესაბამის სფეროში.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა უკვე იყო აკრედიტებული და ამჟამად გადის რეაკრედიტაციას. ის სტრუქტურირებულია ისე, რომ შეესაბამებოდეს აკადემიის მისიას და სტრატეგიული მიზნებს და მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური ოფიცრების მომზადებას, რომლებსაც შეეძლებათ საქართველოს თავდაცვის ძალების და სამოქალაქო სექტორის

მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტურია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა შეძენაც მოსალოდნელია კურსდამთავრებულების მიერ. მიზნები შემუშავებულია როგორც სამხედრო კონტექსტის თანამედროვე გამოწვევების, ისე უფრო ფართო საზოგადოებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის მენეჯმენტის და ეკონომიკის ფუნქციონალური სფეროების შესახებ ყოვლისმომცველი ცოდნის მიწოდებას იმისათვის, რომ მოამზადოს მენეჯერები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. სასწავლო გეგმა შემუშავებულია იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ კონკრეტულ გარემოში ეფექტურად მოქმედება, ხელი შეუწყონ მათ უნარს შექმნან, მართონ და წვლილი შეიტანონ პირად და ორგანიზაციულ განვითარებაში და ამავე დროს დაიცვან ეთიკური პრინციპები და გამოავლინონ პროფესიული პასუხისმგებლობა. აღნიშნული მიზნები კონკრეტულად მორგებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, როგორც აკადემიის კურსდამთავრებულების მთავარი დამკვეთის და დამსაქმებლის საგანმანათლებლო მოთხოვნების, ინტერესების და სტრატეგიული პრიორიტეტების დაკმაყოფილებაზე.

ერთ - ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც ფლობენ თანამედროვე მენეჯმენტის ტექნოლოგიებს და უნარებს, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად უპასუხონ მენეჯერულ საქმიანობაში არსებულ კომპლექსურ საკითხებს. აღნიშნული ორიენტაცია მჭიდროდ უკავშირდება უფრო ფართო მისიას მოამზადოს ოფიცრები, რომლებიც განასახიერებენ ეთიკურ სტანდარტებს, მაღალ მორალურ პრინციპებს და ლიდერულ თვისებებს და კარგად არიან მომზადებულნი ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის. პროგრამა ხაზს უსვამს მენეჯმენტის ეკონომიკური, ორგანიზაციულ - ტექნიკური და სოციალურ - ფსიქოლოგიური ასპექტების ინტეგრაციას, იმისათვის, რომ უზრუნველყოს კურსდამთავრებულების მიერ დარგის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ყოვლისმომცველი გაგება. ის ასევე მიზნად ისახავს ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს ამზადებს არა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის ძალების პოზიციებისთვის, არამედ სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობებისთვისაც. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიიღონ ფართო განათლება, რაც მათ საშუალებას მისცემს იყვნენ კონკურენტუნარიანები სამხედრო, საჯარო და კერძო სამოქალაქო შრომის ბაზრებზე. პროგრამის პრაქტიკული ორიენტაცია სტუდენტებს აღჭურავს საჭირო უნარებით, რათა შეეგუონ სწრაფად ცვლად გარემოს, რაც მათ კარგად ამზადებს მომავალზე ორიენტირებული პოზიციებისთვის ორგანიზაციულ ლიდერობაში და მენეჯმენტში.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება აკადემიის ყოვლისმომცველ მისიას და პრიორიტეტებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ძირითადად განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, ინფორმაცია პროგრამის შესახებ ვებ - გვერდზე ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზეც, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას უფრო ფართო აუდიტორიისთვის. მიზნების შესახებ ინფორმაციის

საჯარო ხელმისაწვდომობა, როგორც აკადემიის შიგნით, ისე გარე საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, უზრუნველყოფს, რომ შენარჩუნებულია პროგრამის შესაბამისობა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს და პოტენციური სტუდენტების მოლოდინებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები ჩვეულებრივ იცავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც კრედიტების საერთო რაოდენობა იყოფა 10-ზე. თუმცა მოულოდნელია, რომ აღნიშნული არ ხორციელდება "მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა არის აკადემიის მიერ ჩამოყალიბებული პროგრამა, რომელმაც წარმატებით გაიარა პირველადი აკრედიტაცია. პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია, შეესაბამება იმ უნარებს და ცოდნას, რაც საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო ლიდერები, რომლებსაც გააჩნიათ მულტიდისციპლინური და ღრმა ცოდნა სახელმწიფო რესურსების მართვაში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.

პროგრამის სტრუქტურა საშუალებას აძლევს სტუდენტებს განივითარონ ძირითადი კომპეტენციები სტრატეგიულ მენეჯმენტში და პოლიტიკის შემუშავებაში, საჯარო ადმინისტრირების ყველა დონის, მათ შორის ეროვნული, მუნიციპალური, სექტორული და ორგანიზაციული სფეროების გათავლისწინებით. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული საჯარო სექტორის ინსტიტუტების მართვისთვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ასევე დემოკრატიულ ღირებულებებთან შესაბამისი გადაწყვეტილებების შესამუშავებლად ინოვაციურ აზროვნებაზე. სტუდენტებს ასწავლიან დამოუკიდებლად განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესები, მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები და ეფექტურად მიაწოდონ გადაჭრის გზები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებს.

მისი ყოვლისმომცველი მიზნებია მოამზადოს ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად მართონ საჯარო სექტორში რესურსების დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება. პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ გააუმჯობესოს კურსდამთავრებულების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების და გამოყენების, საჯარო გამოწვევების მიმართ ინოვაციური მიდგომების შემუშავების და როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში მოქმედების უნარები. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ საჯარო სექტორის კომპლექსურ და ცვალებად გარემოში მოქმედება, წვლილის შეტანა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში უსაფრთხოებისა და მმართველობის მიმართულებით.

"სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება აკადემიის მისიას, განვითარების პრიორიტეტებს და თავდაცვის ძალების და საჯარო სამსახურისთვის მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადების უფრო ფართო სტრატეგიას. პროგრამა ასახავს აკადემიის ვალდებულებას, უზრუნველყოს მაღალი დონის განათლება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე საჯარო ადმინისტრირების და უსაფრთხოების პრაქტიკულ საჭიროებებს. პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო გეგმის შეთავაზებით, რომელიც შეესაბამება თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებს, პროგრამა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულნი ლიდერული პოზიციებისთვის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო შესაძლებლობებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ძირითადად განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, ინფორმაცია პროგრამის შესახებ წარმოდგენილია ვებ - გვერდზე ინგლისურ ენაზეც, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას უფრო ფართო აუდიტორიისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები ჩვეულებრივ იცავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც კრედიტების საერთო რაოდენობა იყოფა 10-ზე. თუმცა მოულოდნელია, რომ აღნიშნული არ ხორციელდება "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსების აღწერილობები
- აკადემიის ვებ - გვერდი
- აკადემიის მისია
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან / და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისევე როგორც ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები, იძლევა საშუალებას აღინიშნოს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მოცემული კვალიფიკაციის დონის შესაბამისად, შეესაბამება პროგრამების მიზნებს და თანხვედრაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერთან. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები უკავშირდება ძირითად დარგობრივ ცოდნას, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში ისინი დემონსტრირებენ შესაბამისი სფეროს საკითხების სიღრმისეულ ცოდნას.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამას აქვს კარგად განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სამხედრო განათლების სპეციფიკურ კონტექსტს. აღნიშნული შედეგები მოიცავს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ყოვლისმომცველ სპექტრს, რაც აუცილებელია მენეჯმენტის

ხარისხისთვის და აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერს. შედეგები ფორმულირებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს კურსდამთავრებულების კარგად მომზადება პოზიციებისთვის როგორც თავდაცვის ძალებში, ისე უფრო ფართო ორგანიზაციულ კონტექსტში.

სწავლის შედეგები შემუშავებულია იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ მენეჯმენტის პრინციპების, თეორიების და თანამედროვე მიდგომების სიღრმისეული გააზრება. მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ აღწერონ დარგის ძირითადი კონცეფციები, განივითარონ ცნობიერება უნივერსალური მენეჯერული გამოწვევების შესახებ და გაიგონ ბიზნეს ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები. გარდა ამისა, სტუდენტებს ასწავლიან ძირითადი მენეჯერული ფუნქციების შესრულებას ეთიკური სტანდარტების დაცვით და ორგანიზაციული პრობლემების გადასაჭრელად თანამედროვე ტექნიკების გამოყენებას. პროგრამა ხაზს უსვამს პროექტების და სტრატეგიების შემუშავების და განხორციელების პროცესში ეფექტური მონაწილეობის უნარს და 20 - 50 სამხედრო მოსამსახურის ქვედანაყოფის ოპერაციების დაგეგმვას და შესრულებას.

სტუდენტებისთვის გადაცემული უნარების აღსანიშნავი ასპექტია პრაქტიკულ გამოყენებაზე და თანამშრომლობაზე აქცენტი. კურსდამთავრებულებს ასწავლიან გუნდში ეფექტურად მუშაობას, ქართულ და უცხო ენებზე როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაციის გამოყენებას და მენეჯმენტის კონტექსტში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო გეგმა ასევე ხელს უწყობს სტუდენტებს განივითარონ კვლევითი უნარები, გამოავლინონ ინდივიდუალური სწავლის საჭიროებები და საკუთარ თავზე აიღონ თავიანთი პროფესიული განვითარების პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, სტუდენტებს უვითარდებათ 20 - 50 სამხედრო მოსამსახურის ქვედანაყოფის დონის ოპერაციების მართვის და დაგეგმვის საჭირო უნარები, რაც ხაზს უსვამს ლიდერობას სამხედრო ჩარჩოს ფარგლებში.

თუმცა, გაურკვეველია, თუ როგორ უწყობს ხელს ზოგიერთი კურსი, როგორიცაა ფსიქოლოგიასთან, ფილოსოფიასთან ან ისტორიასთან დაკავშირებული საგნები არსებული ფორმით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, ბუნდოვანია, რომ "ფსიქოლოგიის" კურსი ეხება მენეჯმენტის ისეთ კონცეფციებს, როგორიცაა ქცევითი სტრატეგია, ორგანიზაციული ფსიქოლოგია და განვითარება, ქცევითი რისკების მართვა და ა.შ. ყველა კურსი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ წვლილი შეიტანოს "მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის ყოვლისმომცველ სწავლის შედეგში. აღნიშნული მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს შემდეგ რეკომენდაციას:

რეკომენდაცია 1:[7] რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა შუალედური კურსები მენეჯმენტის და ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს

---

[17] რეკომენდაციების ნუმერაცია შეესაბამება მეორე ნაწილში, *აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის,* რეკომენდაციების ქვენაწილში მოცემულ ჩამონათვალს.

პროგრამის პროფილს.

მთლიანობაში, პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია და მჭიდროდ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და დარგობრივ მახასიათებლებს. აკადემია მუდმივად აკვირდება აღნიშნული შედეგების მიღწევას აკადემიური მოსწრების სტატისტიკის და რეგულარული შეფასებების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას დარგის სტანდარტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის რელევანტურობის შენარჩუნების და დამსაქმებლის საჭიროებების ამსახველი ნებისმიერი საჭირო ცვლილების განხორციელების მიზნით მხედველობაში მიიღება თავდაცვის სამინისტროს, როგორც კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლის უკუკავშირი.

აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენელთან გასაუბრებების დროს ხაზი გაესვა სწავლის შედეგების მჭიდრო შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ყველა დაინტერესებულმა მხარემ დადებითად შეაფასა პროგრამის მკაფიო სტრუქტურა და მისი პრაქტიკული და ლიდერული უნარების განვითარებაზე ორიენტაცია. კურსდამთავრებულთა სრული დასაქმების მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს პროგრამის წარმატებას სტუდენტების მომზადებაში მომავალი პოზიციებისთვის. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შინაარსის განვითარების და დახვეწის პროცესში უზრუნველყოფს, რომ პროგრამა ინარჩუნებს როგორც თავდაცვის სექტორის საჭიროებებთან, ისე მისი სტუდენტების საერთო პროფესიულ განვითარებასთან შესაბამისობას.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
"სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებს. აღნიშნული შედეგები მოიცავს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ყოვლისმომცველ სპექტრს, რაც აუცილებელია სახელმწიფო რესურსების სტრატეგიული მართვისთვის. ისინი ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის აღმწერის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ რელევანტურობას ეროვნული უსაფრთხოების მულტიდისციპლინურ კონტექსტში.

სწავლის შედეგები შემუშავებულია იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ თანამედროვე საჯარო მმართველობის და ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპებისა და ტენდენციების გააზრება. მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ ეროვნულ უსაფრთხოებაზე ეკონომიკური ფაქტორების გავლენის განხილვას და დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სტრატეგიული მექანიზმების გაგებას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა მოიცავს ლიდერობის პრინციპებს და რესურსების მართვას, რაც სტუდენტებს აღჭურავს ეროვნული უსაფრთხოების რესურსების უზრუნველყოფის კომპლექსურ საკითხებთან კრიტიკული მიდგომის უნარით. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები შეძლებენ საჯარო სექტორში ანალიზის, სტრატეგიების შემუშავების და რესურსების ეფექტურად მართვის უნარების გამომუშავებას.

სტუდენტებისთვის გადაცემული უნარების მნიშვნელოვანი ასპექტია როგორც ეროვნულ, ისე უწყებრივ დონეზე სტრატეგიული და ანალიტიკური შესაძლებლობების ხაზგასმა. კურსდამთავრებულები მომზადებულნი არიან სტრატეგიული პროცესების ანალიზისთვის და მართვისთვის, სამომავლო საოპერაციო კონცეფციების შემუშავების და ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობით რესურსების უზრუნველყოფის დაგეგმვისთვის. პროგრამა ხელს უწყობს დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარებას და თანამედროვე მიდგომებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების წარმოდგენის შესაძლებლობას, აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპების დაცვით. გარდა ამისა, სტუდენტები იძენენ კომპლექსური გარემოსთვის შესაფერის მოლაპარაკების უნარებს და სწავლობენ ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავებას და მართვის სტრატეგიების კრიტიკულ შეფასებას. თუმცა, ბუნდოვანია, თუ როგორ უწყობს ხელს ზოგიერთი სასწავლო კურსი, როგორიცაა ფირმებზე ორიენტირებული კურსები არსებული ფორმით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 2: რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა გაძლიერებული კურსები (რესურსები) ეკონომიკის და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს პროგრამის პროფილს.

საბოლოო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია, რაც დასტურდება აკადემიური მოსწრების სტატისტიკის და შეფასების პროცესების სისტემატური მონიტორინგით. დასაქმების სექტორთან შედეგების შესაბამისობა დასტურდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, კონკრეტულად თავდაცვის და საჯარო ადმინისტრირების სფეროებში და დამსაქმებელთა უკუკავშირით. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და საჯარო ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებთან უფრო მეტად ადასტურებს მის მიზანშეწონილობას და ეფექტიანობას.

აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენელთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ პროგრამა აღიარებულია და მუდმივად უმჯობესდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. სწავლების და მომზადების თავდაცვის ძალებში ინტეგრირება უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს სამხედრო სექტორის განვითარებად საჭიროებებს. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, რომელიც მოიცავს გამოკითხვებს, უკუკავშირის მექანიზმებს და კონსულტაციებს, ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას, შრომის ბაზრის საჭიროებებთან და კურსდამთავრებულების პირად და პროფესიულ განვითარებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსების აღწერილობები
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცია 1: რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა შუალედური კურსები მენეჯმენტის და ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გაამლიერებს პროგრამის პროფილს.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცია 2: რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა გაძლიერებული კურსები (რესურსები) ეკონომიკის და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გაამლიერებს პროგრამის პროფილს.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება თანმიმდევრული და გამჭვირვალე პორცესით. შეფასების პროცესს ზედამხედველობს პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ მიდგომას. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით, რაც იძლევა მკაფიო და გაზომვად შედეგებს. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და იყენებს კრიტერიუმებს, რომლებიც ორიენტირებულია თითოეული სასწავლო კურსის შედეგად სტუდენტების ცოდნაზე და შესაძლებლობებზე. აღნიშნული სისტემა ასახულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში, და სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების და მეთოდების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრების და კურსის ხელმძღვანელების უკუკავშირის მეშვეობით.

სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სისტემა მორგებულია სწავლის სფეროს დარგობრივ მახასიათებელზე და განათლების საფეხურზე. აკადემია სწავლის შედეგების შეფასების მიზნით იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, როგორიცაა წერითი გამოცდები, პრეზენტაციები და ესეები, ასევე დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები. პროგრამის შედეგებთან სასწავლო აქტივობების და შეფასებითი დავალებების შესაბამისობის მიზნით გამოიყენება

კირკპატრიკის მეთოდოლოგია, რაც იძლევა სხვადასხვა დონეზე სტუდენტთა პროგრესის, მათ შორის რეაქციის, სწავლების, ქცევის და შედეგების სრულყოფილად შეფასების საშუალებას.

გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, მონაწილეობენ სწავლის შედეგების შეფასებაში. დამსაქმებელთა გამოკითხვები ორიენტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ხოლო კურსდამთავრებულები იძლევიან უკუკავშირს პროგრამის ეფექტიანობაზე მათი კარიერისთვის მომზადების თვალსაზრისით. აღსანიშნავია კურსდამთავრებულთა ჩართულობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი პროგრამის და დეპარტამენტის ხელმძღვანელი თავად არის აკადემიის კურსდამთავრებული, რაც აძლიერებს შეფასების პროცესის მოქნილობას და რელევანტურობას.

პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნული და ხორციელდება შეფასების შედეგების მონიტორინგი და შედარება აღნიშნულ სამიზნე ნიშნულებთან. იმის შესაფასებლად შეესაბამება თუ არა შეფასების შედეგები მოსალოდნელ მიღწევის დონეებს, აკადემია იყენებს გაუსის განაწილების პრინციპს. თუ ფიქსირდება მოსალოდნელი დიაპაზონიდან 20% ან მეტი გადახრა, ხორციელდება სწავლის შედეგების და შეფასების მეთოდების გადახედვა. მონაცემთა ანალიზი და უკუკავშირის მექანიზმები გამოიყენება გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად და საჭიროებისამებრ პროგრამაში ხორციელდება ცვლილებები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. აკადემია უზრუნველყოფს პერსონალის უწყვეტ ტრენინგს და მხარდაჭერას სწავლის შედეგების გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარების მიზნით. მაგალითად, შემუშავებულია სასწავლო მოდულები ეფექტიან სწავლებაზე და პერსონალთან რეგულარულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები პროგრამის შედეგების შეფასების შესაძლებლობების გასაუმჯობესების მიზნით. 2015 წლიდან აკადემია უზრუნველყოფს ტრენინგს "ეფექტური სწავლება", და პანდემიით გამოწვეულ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით, განხორციელდა დამატებითი ტრენინგები დისტანციური სწავლების თანამედროვე შეფასების მეთოდებზე.

სწავლის შედეგების ანალიზის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის სტუდენტებს, მიეწოდებათ სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით, როგორიცაა "ილიასი", სადაც იტვირთება შესაბამისი ინფორმაცია და რეგულაციები. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ შეფასების სისტემას და ხელი მიუწვდებათ საჭირო რესურსებზე მათი განხორციელების და გასაუმჯობესებელი სფეროების გასაგებად. გარდა ამისა, ეფექტური გასაჩივრების სისტემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივრონ თავიანთი შეფასების შედეგები.

სწავლის შედეგების შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკადემია რეგულარულ რეჟიმში ახორციელებს პროგრამის ანალიზს და შედარებას სხვა დაწესებულებების მიერ შეთავაზებულ მსგავს პროგრამებთან. ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოითხოვება გარე შეფასებები, რაც უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, საჭიროენიდან გამომდინარე. შეფასებებიდან მიღებული უკუკავშირი, შიდა მონაცემების ანალიზთან ერთად, განსაზღვრავს

პროგრამის ცვლილებებს, მათ შორის შინაარსის, სწავლის შედეგების და სასწავლო რესურსების კორექტირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები და კურსების აღწერილობები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა / მექანიზმები
- სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული ინსტრუმენტები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი
- სტუდენტების ნაშრომები
- პროგრამის ანალიზის დოკუმენტები
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები
- პროგრამების რუკები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგების დოკუმენტური მასალა
- სამიზნე ნიშნულები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი ორივე საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია აკადემიის მიერ ჩამოყალიბებული და დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორების და წესების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. პროგრამები განსხვავდება მათი შინაარსით, მოცულობით და სირთულის დონით, რაც შეესაბამება მათ შესაბამის განათლების საფეხურს. პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით და კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) პრინციპების შესაბამისად.

სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსებს შორის შესაბამისობა ასახულია შესაბამისი სწავლის შედეგების რუკებში. ისინი დემოსტრირებს კურსების ფარგლებში სწავლის ძირითად სფეროებს და მათ კავშირს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებთან. მთლიანობაში, სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსებს შორის შესაბამისობა ლოგიკურად თანმიმდევრულია.

სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია დემონსტრირებულია რამდენიმე ძირითადი პარამეტრით: სხვადასხვა უცხო ენის შესწავლის მიზნით, აკადემია სთავაზობს უცხო ენის კურსებს და ინგლისურ ენაზე იკითხება მმართველობის ზოგიერთი კურსი. ორივე პროგრამის სწავლების პროცესში აქტიურად არის გათვალისწინებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა. გარდა ამისა, პროგრამები უზრუნველყოფს როგორც აკადემიური

პერსონალის, ისე სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში და ტრენინგებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. ის ფაქტი, რომ ორივე პროგრამის განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, აღნიშნულია 5.3 კომპონენტში და დადასტურებულია ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებით.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 261 კრედიტს, ხორციელდება ქართულ ენაზე და ანიჭებს "მენეჯმენტის ბაკალავრის" კვალიფიკაციას. პირველი ორი წლის განმავლობაში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ზოგადი მენეჯმენტის საბაზისო და საშუალო დონის ასპექტებს, ხოლო ბოლო წელს ორიენტირებულია სამხედრო მომზადებაზე. ყველა ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, დაშვების და ჩართული პერსონალის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენილია ინდივიდუალურად აკადემიის ვებ - გვერდზე (https://eta.edu.ge/en/page/44/mimoxilva).

სწავლის პერიოდში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 261 კრედიტი, რომლიდანაც:

- 124 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სავალდებულო კომპონენტისთვის
- 8 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი არჩევითი კომპონენტისთვის
- 119 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსების თავისუფალი კომპონენტისთვის
- 10 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი კურსების თავისუფალი კომპონენტისთვის.

პროგრამის ძირითადი სავალდებულო კომპონენტის 124 კრედიტის ფარგლებში დაფარულია მენეჯმენტის ყოვლისმომცველი საკითხები შემდეგი კურსების მეშვეობით: "აკადემიური წერა", "სახელმწიფო მოწყობა და სამართლის საფუძვლები", "ფილოსოფიის საფუძვლები", "კალკულუსი", "ზოგადი ფსიქოლოგია", "მიკროეკონომიკის პრინციპები", "ფინანსების საფუძვლები", "მენეჯმენტის საფუძვლები", "ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა", "ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა", "ადამიანური რესურსების მართვა", "მაკროეკონომიკის პრინციპები", "მარკეტინგის საფუძვლები", "კულტურათაშორისი მენეჯმენტი", "საზოგადოებასთან ურთიერთობა", "ფინანსური აღრიცხვა", "საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტში", "ოპერაციული მენეჯმენტი", "პროექტების მართვა", "მენეჯერული აღრიცხვა", "სტრატეგიული მენეჯმენტი", "საჯარო მენეჯმენტი", "რისკების მართვა", "კვლევის მეთოდები მენეჯმენტის სფეროში", "ინოვაციური მენეჯმენტი", "შიდა ორგანიზაციული პრაქტიკა" და "საბაკალავრო ნაშრომი".

გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ძირითად არჩევით კომპონენტში აირჩიონ 8 კრედიტი ანუ ორი კურსი შემდეგი საგნებიდან: "ლოგისტიკა", "ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება", "თვითმენეჯმენტი და დროის მართვა", "სოციალური ფსიქოლოგია", "კორპორაციული ფინანსები", "მოლაპარაკებები და კონფლიქტები", "დაბეგვრის თეორია და პრაქტიკა", "ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები" და "საერთაშორისო მენეჯმენტი".

გარდა ამისა, სტუდენტები გადიან 119 კრედიტს სავალდებულო კურსების თავისუფალ კომპონენტში. ზემოაღნიშნულიდან აკადემიური კურსები შემდეგია: "ინგლისური 1 - 6", "ფრანგული 1- 6", "გერმანული 1 - 6", "თურქული 1 - 6", "საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია" და "წრფივი ალგებრა და ანალიტიკური გეომეტრია". აღნიშნული შევსებულია შემდეგი გაერთიანებული საჯარისო კურსებით: "გაერთიანებული საჯარისო მომზადების სამხედრო მეცნიერება 1 - 5", "გაერთიანებული საჯარისო მომზადების ცურვა 1 - 2", "საცეცხლე მომზადება 1 - 2", "სამხედრო ტოპოგრაფია", "სამხედრო მხარდამჭერი კურსები 1 - 2" და "გაერთიანებული საჯარისო ტაქტიკა 1 - 2".

ბოლოს, არჩევითი კურსების თავისუფალ კომპონენტში შესაძლებელია 10 კრედიტის არჩევა ანუ ორი კურსი შემდეგი საგნებიდან: "ინტენსიური უცხო ენის კურსი 1", "ინტენსიური უცხო ენის კურსი 2", "კრიტიკული აზროვნება" და "სისტემური აზროვნება, ჰიბრიდული ომი და ეროვნული უსაფრთხოება".

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საფეხურს. უნდა აღინიშნოს რომ შინაარსი და სტრუქტურა ინდივიდუალურია, ვინაიდან საქართველოში მხოლოდ აკადემია ახორციელებს ასეთ პროგრამას. ისინი ასევე შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - "მენეჯმენტის" ბაკალავრს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც აღნიშნულია, პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად "მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა კარგად არის განსაზღვრული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გასაუმჯობესებელია რამდენიმე მცირე საკითხი. პირველ რიგში, სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი თითოეული კურსის შეჯამების შემდეგ დადგინდა, რომ ძირითად სავალდებულო კომპონენტში მისაღები კრედიტების რაოდენობა შეადგენს 124 კრედიტს. თუმცა, აკადემიური პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია ჯამში 129 კრედიტი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 3: რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის აღწერილობა ისე, რომ კრედიტების საერთო რაოდენობამ შეადგინოს 261 კრედიტი. აღნიშნული უზრუნველყოფს თანხვედრას აღწერილობის ტექსტსა და სავალდებულო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების აღწერილობით ცხრილებს შორის.

გარდა ამისა, "თავისუფალი კომპონენტი" თავისი ხასიათით უნდა გულისხმობდეს, რომ მისი ყველა კურსი იყოს არჩევითი. თუმცა, 129 კრედიტიდან 119 კრედიტის სავალდებულოდ გათვალისწინება ეწინააღმდეგება "თავისუფალი" არჩევანის იდეას. თავისუფალი კომპონენტი უნდა მოიცავდეს მხოლოდ არჩევით კურსებს, ხოლო სავალდებულო კომპონენტი - მხოლოდ სავალდებულო კურსებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს შემდეგ რეკომენდაციას:

რეკომენდაცია 4: რეკომენდებულია, "თავისუფალი კომპონენტის" ფარგლებში შეთავაზებული ყველა კურსი იყოს წარმოდგენილი არჩევითი სახით. ამგვარი კომპონენტის იდეა გულისხმობს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანი. ამჟამად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში 119 კრედიტი უკავშირდება სავალდებულო კურსებს, რომელიც გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო კომპონენტში.

მიჩნეულია, რომ შეუძლებელია არსებული "თავისუფალი კომპონენტის" ბევრი კურსის შეთავაზება არჩევითი კურსის სახით. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია შეიქმნას ახალი კომპონენტი, რომელიც გაითვალისწინებს აღნიშნულ სავალდებულო კურსებს. დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო ნაშრომის მხოლოდ 8 კრედიტით განსაზღვრა, დაბალია პროგრამის საერთო, 261 კრედიტთან შედარებით. სამუშაო დატვირთვა, რომელიც გამომდინარეობს კვლევითი კითხვის შემუშავებიდან, ლიტერატურის და მონაცემების კვლევისგან და მათი სამეცნიერო ფორმით წარმოდგენიდან მოითხოვს მეტ დროს საბაკალავრო დონეზე. ასევე, მეორე პროგრამის სამაგისტრო ნაშრომთან შედარებით, რომელიც ითვალისწინებს 30 კრედიტს, გონივრული იქნება გაიზარდოს "საბაკალავრო ნაშრომისთვის" განსაზღვრული სამუშაო დატვირთვა და კრედიტები. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა:

რჩევა 1:[8] სასურველია, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვის მიზნით გაიზარდოს "საბაკალავრო ნაშრომის" კრედიტების რაოდენობა. სამაგისტრო ნაშრომთან შედარებით ძალიან მცირეა საბაკალავრო ნაშრომისთვის ამჟამად განსაზღვრული 8 კრედიტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვისთვის გონივრული იქნება განისაზღვროს 10 - დან 15 კრედიტამდე.

აღნიშნული რეკომენდაციების და რჩევების მიუხედავად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, ვინაიდან მისი სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 122 კრედიტს, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე და ანიჭებს "სახელმწიფო რესურსების მართვის მაგისტრის" კვალიფიკაციას. პირველი სამი სემესტრის განმავლობაში, სავალდებულო და არჩევუთი კურსების მეშვეობით პროგრამა განიხილავს საჯარო მმართველობის და რესურსების მართვის მნიშვნელოვან ასპექტებს. ბოლო სემესტრში პროგრამა ორიენტირებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაზე. ყველა ინფორმაცია "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის, დაშვების და ჩართული პერსონალის შესახებ წარმოდგენილია აკადემიის ვებ - გვერდზე ინდივიდუალურად, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე (https://eta.edu.ge/en/page/100/state-resource-management).

---

[8] რჩევების ნუმერაცია შეესაბამება მეორე ნაწილში, *აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის, რჩევები პროგრამის განვითარებისთვის* ქვენაწილში მოცემულ ჩამონათვალს.

სწავლის პერიოდში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 122 კრედიტი, რომელიც მოიცავს:

- 97 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთის
- 25 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი კურსებისთვის.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტში 97 კრედიტის ფარგლებში უზრუნველყოფილია რესურსების მართვის საკითხების ყოვლისმომცველი განხილვა შემდეგი კურსების მეშვეობით: "აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის", "სისტემის ეფექტურობის შეფასება და აუდიტი", "სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება", "ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა", "სტრატეგიული ლიდერობა", "სტრატეგიული კომუნიკაცია", "ფირმის ეკონომიკა", "დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და შესრულება", "სტრატეგიული კვლევა - სახელმწიფო მმართველობა მშვიდობიანობის, კრიზისის და ომის დროს", "კიბერუსაფრთხოება", "საქართველოს ეკონომიკის სექტორების ანალიზი", "კვლევის მეთოდები და დიზაინი" და "სამაგისტრო ნაშრომი".

შემდეგი არჩევითი კურსებიდან შესაძლებელია 25 კრედიტის (ანუ ხუთი კურსის) აღება: "მიწოდების ჯაჭვის მართვა", "საერთაშორისო კონფლიქტები", "დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი", "საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში", "მონაცემთა ანალიზი", "ტერორიზმი", "საქართველოს ახალი და უახლესი სამხედრო ისტორია", "მენეჯმეტის (მართვის) ფსიქოლოგია", "საჯარო ფინანსები", "სტრატეგიის გაძლიერებული კურსი", "რეგიონული უსაფრთხოება" და "საერთაშორისო ეკონომიკა".

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საფეხურს. უნდა აღინიშნოს რომ შინაარსი და სტრუქტურა ინდივიდუალურია, ვინაიდან საქართველოში მხოლოდ აკადემია ახორციელებს ასეთ პროგრამას. ისინი ასევე შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - "მენეჯმენტის" ბაკალავრს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც აღნიშნულია, პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

ვინაიდან ყველა არჩევით კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი, ხუთი არჩევითი კურსის გავლის შემთხვევაში მისაღები კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 25 კრედიტს. აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფს აძლევს საშუალებას დაასკვნას:

რეკომენდაცია 5: რეკომენდებულია, არჩევითი კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს 24 - დან 25 - კრედიტამდე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ყველა არჩევით კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. ვინაიდან აღნიშნული ხუთი არჩევითი კურსის გავლა ხორციელდება სამი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო დატვირთვა თავისთავად არათანაბრად იქნება განაწილებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სამი სემესტრის ფარგლებში ხუთი კურსის განაწილება სწავლების პროცესში გამოიწვევს გარკვეულ დისბალანსს. მოსალოდნელია, რომ ორი

სემესტრის განმავლობაში მოხდება ორი არჩევითი კურსის, ხოლო ერთ სემესტრში - მხოლოდ ერთი არჩევითი კურსის არჩევა. პირველი არჩევანის გაკეთებამდე სტუდენტები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას აღნიშნული ფაქტის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იქონიოს გავლენა სხვადასხვა არჩევითი კურსის არჩევამ მათ სამომავლო სასწავლო დატვირთვაზე. ის ფაქტი, რომ სავალდებულო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა პირველ და მესამე სემესტრებში შეადგენს 22 კრედიტს, ხოლო მეორე სემესტრში 23 კრედიტს, გარკვეულწილად მიუთითებს მოსალოდნელ საერთო სასწავლო დატვირთვაზე. იმის გათვალისწინებით, რომ არჩევით კომპონენტში კრედიტების რაოდენობა უნდა გაიზარდოს, აღნიშნული გავლენას ახდენს მთლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას:

რეკომენდაცია 6: რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა შესწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს სავალდებულო და არჩევითი კურსების ჯამთან. აღნიშნული ამჟამად შეადგენს 122 კრედიტს.

მიჩნეულია, რომ აკადემია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო - კვლევით უნარებს. აღნიშნული თვალსაზრისით, სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის გამოქვეყნება წარმოადგენს ეფექტურ გზას თავიანთი პირველი წვლილი შეიტანონ აკადემიურ საზოგადოებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დრო და მეოთხე სემესტრის უდიდესი ნაწილი დაეთმობა ლიტერატურის, მონაცემების კვლევას და ხელნაწერების მომზადებას. იმის მოთხოვნა, რომ ნაშრომი გამოქვეყნდეს რეცენზირებად ჟურნალში, მოითხოვს ზედმეტად დიდ დროს. ზოგადად, აღნიშნული პროცესი მოიცავს ნაშრომის შემოკლებას სტატიის სახით, რეცენზენტებისთვის დროის მიცემას წარდგენილი სტატიის წასაკითხად და კომენტარების გასაკეთებლად, სტუდენტისთვის დროის მიცემას კომენტარების გაანალიზების გზით უკუკავშირზე რეაგირებისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს აღნიშნული პროცესის განმეორება ნაშრომის საბოლოოდ გამოქვეყნებამდე. მაშინ როცა ზოგიერთმა საუკეთესო სტუდენტმა შესაძლებელია განსაზღვრულ დროში შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები, ეს არ შეიძლება მოთხოვნად განესაზღვროს ყველა კურსდამთავრებულს. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნება უნდა წარმოდგენდეს სტუდენტის სურვილს და არ ატარებდეს სავალდებულო ხასიათს. ალტერნატიულად, სტუდენტმა შეიძლება ისურვოს ნაშრომის არარეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს შემდეგ რეკომენდაციას:

რეკომენდაცია 7: რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენა არ იყოს სავალდებულო. წარდგენამ, რეცენზენტების უკუკავშირის მიღებამ, გადამუშავების მომზადებამ და პოტენციურად პროცესის გამეორებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს სწავლის პერიოდი. გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის ნებას. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მიერ მონაწილეებისთვის კონფერენციებში ჩართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ზოგადად, ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ აკადემიის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი მონაწილეებისთვის უზრუნველყოფს შესანიშნავ შესაძლებლობებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და სამაგისტრო ნაშრომის გამოქვეყნებისთვის კარგად მოსამზადებლად.

აღნიშნული რეკომენდაციების გარდა, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, რადგან მისი სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების აღწერილობები და სილაბუსები
- კურსების აღწერილობები
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცია 3: რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის აღწერილობა ისე, რომ კრედიტების საერთო რაოდენობამ შეადგინოს 261 კრედიტი. აღნიშნული უზრუნველყოფს თანხვედრას აღწერილობის ტექსტსა და სავალდებულო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების აღწერილობით ცხრილებს შორის.

რეკომენდაცია 4: რეკომენდებულია, "თავისუფალი კომპონენტის" ფარგლებში შეთავაზებული ყველა კურსი იყოს წარმოდგენილი არჩევითი სახით. ამგვარი კომპონენტის იდეა გულისხმობს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანი. ამჟამად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული 119 კრედიტი უკავშირდება სავალდებულო კურსებს, რომელიც გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო კომპონენტში.

რჩევა 1: სასურველია, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვის მიზნით გაიზარდოს "საბაკალავრო ნაშრომის" კრედიტების რაოდენობა. სამაგისტრო ნაშრომთან შედარებით ძალიან მცირეა საბაკალავრო ნაშრომისთვის ამჟამად განსაზღვრული 8 კრედიტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვისთვის გონივრული იქნება განისაზღვროს 10 - დან 15 კრედიტამდე

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- **რეკომენდაცია 5:** რეკომენდებულია, არჩევითი კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს 24 - დან 25 - კრედიტამდე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ყველა არჩევით კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. ვინაიდან აღნიშნული ხუთი არჩევითი კურსის გავლა ხორციელდება სამი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო დატვირთვა თავისთავად არათანაბრად იქნება განაწილებული.

- **რეკომენდაცია 6:** რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა შესწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს სავალდებულო და არჩევითი კურსების ჯამთან. აღნიშნული ამჟამად შეადგენს 122 კრედიტს.

- **რეკომენდაცია 7:** რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენა არ იყოს სავალდებულო. წარდგენამ, რეცენზენტების უკუკავშირის მიღებამ, გადამუშავების მომზადებამ და პოტენციურად პროცესის გამეორებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს სწავლის პერიოდი. გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის ნებას. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მიერ მონაწილეებისთვის კონფერენციებში ჩართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე	☐	☒	☐	☐

საფეხური)				

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

,,მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში და შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონის მოთხოვნებს და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ პერსონალთან ერთად უზრუნველყოფს, რომ თითოეულ კურსზე მინიჭებული კრედიტები შეესაბამებოდეს როგორც კურსის შინაარსს, ასევე მის სწავლის შედეგებს. ამ თანხვედრას კიდევ უფრო ადასტურებს თითოეული კურსის გაზომვადი და შეფასებადი სწავლის შედეგები, რაც ჩანს სტუდენტთა მოსწრების ანალიზში.

თითოეულ კურსზე გამოყოფილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკურ ხასიათს. ამ საათებს შორის თანაფარდობა საგულდაგულოდ არის დაგეგმილი შესაბამისი ბალანსის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი ასახავს სრულ შესაბამისობას საკონტაქტო საათებს, კურსის შინაარსსა და სწავლის სასურველ შედეგებს შორის, თუმცა დამატებითი დეტალები კონკრეტულ კოეფიციენტებთან დაკავშირებით არ არის მოწოდებული.

ფასდება აკადემიური კურსების თითოეული სწავლის შედეგი, ხოლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შეფასების მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც შეესაბამება სწავლის გამიზნულ შედეგებს. პროგრამის პერსონალის მიერ სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია შესაბამისი სასწავლო რესურსები, რომლებიც დაფუძნებულია დარგის უახლეს მიღწევებზე, რაც უზრუნველყოფს მოწოდებული საგანმანათლებლო მასალების შესაბამისობასა და აქტუალურობას.

თითოეული კურსის აღწერა შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას სავალდებულო ლიტერატურასთან და სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით. ლიტერატურა უმეტესწილად ეყრდნობა ქართულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც გამოცემულია თავად აკადემიის ლექტორების ან სხვა ავტორიტეტული ეროვნული უნივერსიტეტებში მოღვაწე ავტორების მიერ. ზოგადი სახით ასევე მოცემულია დამხმარე ინგლისურენოვანი მასალა. ლიტერატურა და ყველა სხვა მოცემული სასწავლო მასალა შეესაბამება მენეჯმენტის მეცნიერების შესაბამის სფეროში მიღწევებს და ასევე განიხილავს უახლეს კვლევებს ამ

საგნობრივ სფეროებში, თითოეული აკადემიური კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო რესურსების მართვა“ სავალდებულო აკადემიური კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პროგრამის პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს თითოეული კურსის შინაარსისა და მიზნების თანხვედრას პროგრამის საერთო მიზნებთან. ეს პროცესი ასევე მოიცავს იმის გადახედვას, თუ რამდენად შეესაბამება კურსის მიზნები პროგრამის სწავლის შედეგებს და პასუხობს თუ არა კურსები შესაბამის დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებს.

თითოეულ კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა რეგულარულად მოწმდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამებოდეს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე ფასდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების განაწილება, რათა ამ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატური იყოს და ასახავდეს აკადემიური კურსების სპეციფიკას. სილაბუსებს ტექნიკურად ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რათა დაადასტუროს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების საერთო რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კურსის დატვირთვას და კრედიტების განაწილებას.

თითოეული სასწავლო კურსის ყველა სწავლის შედეგი გაზომვადი და შეფასებადია. ეს დასტურდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების სათანადო შეფასებას. თუმცა, კონკრეტული დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება თითოეული სწავლის შედეგი, არ არის მოწოდებული თვითშეფასებაში.

თითოეული კურსის სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები ჩამოთვლილია კურსის აღწერილობაში და გამიზნულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ლიტერატურა მოიცავს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ლექტორებისა და სხვა ავტორიტეტული ეროვნული უნივერსიტეტების ავტორთა სახელმძღვანელოებს, დამატებითი მითითებით ინგლისურენოვან მასალაზე. ეს რესურსები შეესაბამება უახლეს კვლევებს ან დარგის მიღწევებს და ეფუძნება შესაბამის აკადემიურ სფეროებში უახლეს ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები და კურსების აღწერილობები
- პროგრამების რუკები
- აკადემიური კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და იუნკერების კვლევის შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს სტრუქტურირებული მიდგომა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მიმართ და ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფობილ კვოტას. აკადემია, თავდაცვის ძალების საჭიროებების შესაბამისად, ადგენს სტუდენტთა წლიურ კვოტას, ამჟამად, ეს კვოტა შეადგენს 30 სტუდენტს ამ კლასტერის თითოეული პროგრამისთვის, რაც განპირობებულია სხვადასხვა მოსაზრებით, მათ შორის საკლასო ოთახის მოცულობა, განთავსების საშუალებები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელმისაწვდომობა და ტექნიკური აღჭურვილობის ადეკვატურობა. ეს ფაქტორები აჩვენებს სტუდენტთა მიღების მკაფიო მეთოდოლოგიას, რომელიც შეესაბამება ინსტიტუციურ რესურსებს და პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებს.

ორივე პროგრამაზე მიღების პირობები შეესაბამება დაგეგმვის მიღებულ მეთოდოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ კვოტა გარედან არის განსაზღვრული სამინისტროს მიერ, აკადემია უზრუნველყოფს, რომ ჩარიცხვა გადანაწილდეს მისი შიდა შესაძლებლობების მიხედვით, სხვადასხვა ლოგისტიკური და აკადემიური ფაქტორების გათვალისწინებით. ეს მიუთითებს დაგეგმვის პროცესთან შესაბამისობაზე, თუნდაც გარედან

დაწესებული კვოტით შეზღუდვების ფარგლებში.

აკადემია უზრუნველყოფს, რომ მისაღები წინაპირობები იყოს საჯარო, სამართლიანი და ხელმისაწვდომი. მიღებასთან დაკავშირებით ინფორმაცია ქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე, მათ შორის ინგლისურ ენაზე (ანუ პროგრამის 1-ისთვის: https://eta.edu.ge/en/page/45/admission; და პროგრამის 2-ისთვის: https://eta.edu.ge/en/page/121/admission), დამატებით შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წერილების საშუალებით და კეთდება განცხადებები სოციალური მედიის, ტელეარხების და საგანმანთლებლო გამოფენებში მონაწილეობის საშუალებით. ბროშურები ვრცელდება როგორც საჯარო სივრცეში, ასევე იუსტიციის სახლების მეშვეობით საქართველოს მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობას.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის გამორჩეულ მახასიათებლებს. პროგრამის სპეციფიკური სამხედრო ხასიათის გათვალისწინებით, წინაპირობები მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე ფიზიკურ შეფასებებს, როგორიცაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები და შიდა შერჩევის პროცესი, რომელიც გულისხმობს სამედიცინო შემოწმებას, ფიზიკური მზაობის ტესტს და გასაუბრებას. ეს მოთხოვნები უზრუნველყოფს, რომ აბიტურიენტებს გააჩნდეთ შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის წარმატებით დასასრულებლად.

აკადემიაში მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. აბიტურიენტები შეიძლება ჩაირიცხნონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ გარეშე, რეგულაციების შესაბამისად. ეს ასახავს აკადემიის შესაბამისობას ეროვნულ სამართლებრივ სტანდარტებთან პროგრამის სპეციფიკური საჭიროებების გათვალიწინებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები აკმაყოფილებდენენ პროგრამის როგორც აკადემიურ, ასევე ფიზიკური მოთხოვნებს, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მოამზადოს ისინი თავდაცვის ძალებში მომავალი სამსახურისთვის. აკადემიური და სამხედროზე ორიენტირებული კრიტერიუმების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტების კარგად მომზადებას სასწავლო გეგმის მიზნების შესასრულებლად.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასახავს პროგრამის სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც გამიზნულია სამხედრო პერსონალისთვის, სამოქალაქო პირებისთვის და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლებისთვის. აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ

ბაკალავრის ხარისხი და ჩააბარონ როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდა, ასევე მისაღები გამოცდა სპეციალობაში შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის დემონსტრირებით. გარდა ამისა, ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა ან ეკვივალენტური სერთიფიკატის წარმოდგენა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ფლობდნენ პროგრამისთვის საჭირო ენობრივ უნარებს, რაც შეესაბამება სასწავლო გეგმის პროფესიულ და აკადემიურ მოთხოვნებს.

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, კანდიდატები შეიძლება ასევე ჩაირიცხონ ამ გამოცდის ჩაბარების გარეშე, საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მარეგულირებელი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად. ეს მეტყველებს აკადემიის ეროვნული კანონებისადმი ერთგულებაზე, ამასთან, გარკვეულ კანდიდატებს, როგორიცაა სამხედრო პერსონალი, სთავაზობს ალტერნატიულ გზებს კონკრეტულ სამართლებრივ პირობებში.

მისაღები მოთხოვნები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. აკადემიური კვალიფიკაციის, პროფესიული განათლებისა და ინგლისური ენის ცოდნის ერთობლიობა უზრუნველყოფს, რომ მიღებულ სტუდენტებს ჰქონდეთ აუცილებელი საფუძველი პროგრამაში წარმატების მისაღწევად, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო რესურსების მართვაზე. სამხედრო პერსონალისა და სახელმწიფო სააგენტოების სხვა თანამშრომლების მიზნობრივი ჩარიცხვა კიდევ უფრო ამტკიცებს პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები სათანადოდ იყვნენ მზად სასწავლო გეგმის პროფესიული და აკადემიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- იუნკერების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- აკადემიის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკული, ტრანსფერული და სამეცნიერო უნარების განვითარების მიზნით, აკადემია სტუდენტებს სთავაზობს უამრავ შესაძლებლობას. მათი პრაქტიკული უნარების განვითარების მდგრადობის მიზნით, მან დადო მემორანდუმები და ხელშეკრულებები შიდა სამსახურებთან და ცენტრებთან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციულ კონტექსტში. სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, აკადემია მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას კვლევით პროექტებში, მაგისტრატურის სტუდენტები მონაწილეობენ ისეთ წამოწყებებში, როგორიცაა „ტოტალური თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი“.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და განათლების დონეს. პროგრამა მიჰყვება 3+1 სტრუქტურას, სადაც ბოლო წელი ძირითადად ეძღვნება პრაქტიკულ სავარჯიშოებს, როგორიცაა ტაქტიკა, ტოპოგრაფია, სახანძრო წვრთნები და კომუნიკაციები, ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია სწავლის დაგეგმილ შედეგებთან. პრაქტიკული კომპონენტი არის სამხედროზე ორიენტირებული საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი და სავალდებულო ასპექტი, რომელიც აძლიერებს სწავლის წინა წლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას.

პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზება და დაგეგმვა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პრაქტიკულ კომპონენტს მეთვალყურეობენ კურსის ხელმძღვანელები და სერჟანტები, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ხელმძღვანელობა გაუწიოს კვალიფიციური პერსონალმა. შეფასების კრიტერიუმები, მათ შორის, კურსის სილაბუსზე მიმაგრებული საკონტროლო სიები, უზრუნველყოფს სტუდენტის აქტივობების ობიექტურად და სათანადოდ შეფასებას. პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა ვიზიტები კომპანიებსა და სამხედრო ნაწილებში, სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ რეალურ სამყაროში არსებულ ორგანიზაციულ პრაქტიკას, რაც პირდაპირ მხარს უჭერს პროგრამის გამიზნულ შედეგებს.

პრაქტიკულ კომპონენტს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც მითითებებს აძლევს სტუდენტებს აქტივობებში და აფასებს მათ შედეგებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. თითოეულ პრაქტიკულ მოდულს გააჩნია შეფასების შესატყვისი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მუშაობის შეფასებას მკაფიო და შესაბამისი კრიტერიუმებით. ხელმძღვანელები არიან როგორც აკადემიურ, ასევე სამხედრო პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განხორციელებას.

ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტი თავდაცვის ძალებში ხორციელდება, აკადემიამ ხელი მოაწერა მემორანდუმებს შიდა სამსახურებთან და ცენტრებთან. ამით პროგრამა ითვალისწინებს ორგანიზებულ ვიზიტებს შესაბამის კომპანიებსა და სამხედრო ნაწილებში. ეს ვიზიტები შეესაბამება სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც ეხმარება სტუდენტებს პროგრამის მიზნების მიღწევაში. გარდა ამისა, საზღვარგარეთ სტაჟირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩართულობის შესაძლებლობები აძლიერებს სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას, რაც ხელს უწყობს საერთო საგანმანათლებლო გამოცდილების ამაღლებას.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებისა და განათლების დონის შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია პროგრამაში

სხვადასხვა სავარჯიშოების მეშვეობით, როგორიცაა ოპერატიული დაგეგმვა, სტაბილურობის ოპერაციების დაგეგმვა და ლიდერობის განვითარება. ეს აქტივობები აღწერილია კურსის სილაბუსებში, შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდებით და დროის განაწილებით, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ დარგის შესამაბისი საჭირო უნარები და კომპეტენციები.

პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზება და დაგეგმვა შეესაბამება პროგრამის სასწავლო შედეგებს. აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს სტუდენტებს პრაქტიკული სავარჯიშოების განხორციელებაში, როგორიცაა დაგეგმვის სცენარების შემუშავება და ჯგუფური პრეზენტაციები, რაც უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკული აქტივობები პირდაპირ იყოს დაკავშირებული მაგისტრატურის დონის განათლების მიზანმიმართულ შედეგებთან. სპეციალურად შემუშავებული შეფასების ფურცლები თან ერთვის თითოეულ სილაბუსს პრაქტიკული უნარების შეძენის შესაფასებლად, აკადემიურ მიზნებთან თანმიმდევრობოსა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამ პრაქტიკული კომპონენტების გავლაში სტუდენტებს მეთვალყურეობას უწევს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს და აფასებს მათ საქმიანობას. გამოცდილი პროფესორების ჩართვა ხელმძღვანელობის პროცესში უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული სავარჯიშოების ეფექტურ მონიტორინგს და მათი შესრულების შეფასებას მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმებით.

ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტი თავდაცვის ძალებში ხორციელდება, აკადემიამ ხელი მოაწერა მრავალ მემორანდუმს შინაგან სამსახურებთან და ცენტრებთან. ამით პროგრამა ითვალისწინებს რეგულარულ ვიზიტებს სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკულ კონტექსტში დააკვირდნენ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს. გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას კვლევით პროექტებში, მაგისტრატურის სტუდენტები მონაწილეობენ ინიციატივებში, როგორიცაა „ტოტალური თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი“. პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ინტეგრაცია აძლიერებს პროგრამის აქცენტს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიის 7-წლიანი სტრატეგიული და 3-წლიანი სამოქმედო გეგმები
- მემორანდუმები
- განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
- კონფერენციებისა და სამეცნიერო ნაშრომების კრებულები
- კონფერენციების სია, სადაც იუნკერები მონაწილეობენ
- ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული. **კლასტერის საერთო**

რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თავდაცვის ეროვნული აკადემიის სასწავლო პროგრამების კლასტერში გამოყენებული

სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის შინაარსს და სწავლის გამიზნულ შედეგებს. მეთოდები უზრუნველყოფს სასურველი სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემია იყენებს განათლების მეცნიერებისა და პედაგოგიკის უახლესი ტენდენციებით ინფორმირებულ მიდგომებს, რომლებიც გამოყენებულია ისეთი ინსტიტუციების საუკეთესო პრაქტიკა, როგორიცაა ნატოს სკოლები უცხო ქვეყნებში. ეს მეთოდები ინტეგრირებულია პროგრამების სწავლება – სწავლის კომპონენტებში, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას აკადემიის სპეციფიკურ საგანმანათლებლო და სამხედრო კონტექსტთან.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში ინტერაქტიული მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს მონაწილეობას, თანამშრომლობასა და ინტერაქციას სტუდენტებსა და პერსონალს შორის, ისევე როგორც თავად სტუდენტებს შორის. აკადემიის ფოკუსირება კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე მხარდაჭერილია სხვადასხვა კურსით, მათ შორის „კრიტიკული აზროვნების“ არჩევითი კურსით ბაკალავრიატის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ამ უნარების განვითარებას.

აკადემიაში სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. აკადემიამ შეიმუშავა ინდივიდუალური აკადემიური გეგმების შექმნის სისტემა, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას მორგებული სასწავლო გზები იმ შემთხვევებში, თუ სტუდენტები საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას. ეს სისტემა ეხმარება, რომ თავიდან აიცილონ სტუდენტების რაოდენობის შემცირება აკადემიური სირთულეების გამო, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები იქმნება სტუდენტებისთვის, რომლებიც იღებენ შედარებით დაბალ ქულებს (D ან ქვემოთ).

აკადემიას შექმნილი აქვს ელექტრონული და დისტანციური სწავლების მხარდაჭერის ძლიერი სისტემა. სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია ისეთი პლატფორმების საშუალებით, როგორიცაა ILIAS; ეს პლატფორმები გამოიყენება ყოველკვირეული დავალებების, შუალედური და საბოლოო და შეფასებებისთვის. აკადემიამ ასევე შემოიღო სახელმძღვანელო მითითებები ელექტრონული სწავლების ადმინისტრირებისთვის, რათა უზრუნველყოს, რომ გამოყენებული მეთოდებით არ შეიცვალოს პროგრამების მიზნები და შედეგები. დისტანციური სწავლების პერიოდში სტუდენტების უზრუნველყოფა ლეპტოპებითა და ინტერნეტ პაკეტებით აჩვენებს აკადემიის მზაობას განათლების უწყვეტობისადმი. დისტანციური სწავლების ცენტრი, რომელიც შეიქმნა 2021 წელს, მართავს ამ პლატფორმებს და მუშაობს ნატოს სტანდარტების შესაბამისად.

ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მზარდი ხელმისაწვდომობის საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფი აკადემიას ურჩევს, რომ შეიმუშაოს სტრატეგია, რათა მოახდინოს ამ ინსტრუმენტების ინტეგრირება ან შეზღუდვა სწავლებისა და კვლევის პროცესში. ეს ხელს შეუწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ AI ტექნოლოგიების ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროცესებში მოხდეს პასუხისმგებლიანად და აკადემიის სასწავლო მიზნების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კურსის პროგრამები და სილაბუსები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლებისა და სწავლის მეთოდები	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტების შეფასების სისტემა ორივე პროგრამაში შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“.

ლექტორი კურსის დასაწყისში სტუდენტებს აცნობს შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს, ხოლო სილაბუსი სემესტრის განმავლობაში ხელმისაწვდომია ელექტრონული პლატფორმის „ILIAS“-ის მეშვეობით, რომელიც თითოეულ სტუდენტს საშუალებას აძლევს ნახოს შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და შეფასებები. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თავიანთი სწავლის შედეგებზე, მათ შორის მათ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. დადგენილია ლექტორებთან დამატებითი კონსულტაციების განრიგი, რაც წინასწარ ეცნობება სტუდენტებს.

შეფასების სისტემა და პროცედურები არის სამართლიანი და გამჭვირვალე. სტუდენტები ფასდებიან 100 ქულიანი სისტემის გამოყენებით, რომელშიც შედის შუალედური და საბოლოო შეფასებები. სტუდენტებმა უნდა დააგროვონ მინიმუმ 51 ქულა. აკადემიას აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციები", რომელიც შეიცავს ინფორმაციას შეფასების კონკრეტულ კომპონენტებთან დაკავშირებით, რომელიც არ ემთხვევა თვითშეფასების ანგარიშში და საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილ ინფორმაციას. კერძოდ, თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი შუალედური შეფასებისთვის 30%-დან 40%-მდე გაიზარდა საბაკალავრო პროგრამის წინა რეკომენდაციების გათვალიწინებით, თუმცა ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით, საბაკალავრო პროგრამებში შუალედური გამოცდისა და შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 30%-ით, ხოლო საბოლოო შეფასების მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური ქულის 40%. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

რჩევა 2: სასურველია, აკადემიის და საბაკალავრო პროგრამის წესები შესაბამისობაში მოვიდეს გამოცდების შეფასებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვრებთან.

ორივე პროგრამაში Turnitin გამოიყენება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში მსგავსების შესამოწმებლად; პლაგიატთან დაკავშირებული მკაფიო წესები ხაზს უსვამს

აკადემიური კეთილსისდისიერებისადმი აკადემიის ერთგულებას. ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა, რომ სტუდენტებმა იცოდნენ შეფასებასთან დაკავშირებული შესაბამისი წესები და რეგულაციები, აპელაციის პროცესი და ეთიკის კოდექსი. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშითა და პროგრამაში ჩართულ პირებთან ადგილზე გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ აკადემიას აქვს პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების ეფექტური სისტემა და პოლიტიკა.

თითოეული კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შექმნილია კურსის სპეციფიკის მიხედვით და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს დისტანციური სწავლების მეთოდებს, კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით და კარგად აღჭურვილი ტექნიკური რესურსებით.

„სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამას აქვს ნაშრომის დაცვის გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები. აკადემიური სტილის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აკადემიამ მიიღო აკადემიური სტილის გზამკვლევი, რომელიც წარმოადგენს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესის სწორად დაგეგმვის ეფექტურ მექანიზმს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმები
- კურსის სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი
- აკადემიის აკადემიური სტილის სახელმძღვანელო

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული. კლასტერის საერთო

რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (,,მენეჯმენტის" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა)

რჩევა 2: სასურველია, აკადემიის და საბაკალავრო პროგრამის წესები შესაბამისობაში მოვიდეს გამოცდების შეფასებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვრებთან.

შეფასება

კომპონენტი 2.4 სტუდენტის შეფასება	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების ადეკვატური შეფასება	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, დამატებითი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღვნიშნავთ, რომ სტუდენტებს აკადემია მრავალი თვალსაზრისით უჭერს მხარს. აკადემია ავლენს მტკიცე ვალდებულებას, რომ სტუდენტები მრავალმხრივ უზრუნველყოს და მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია სწავლის პროცესისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აკადემიის სპეციფიკური ხასიათი და მისი სასწავლო პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას აკადემიურ და სამხედრო საქმიანობაში.

პროგრამების სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და მონაწილეობენ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა კონფერენციები, სპორტული ღონისძიებები და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები. როგორც ადგილზე ვიზიტის დროს წარმოჩნდა, სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტში და ორივე პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტების ინიციატივები.

როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს და რჩევებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების, პროფესიული განვითარების და ა.შ. შესახებ. აკადემიას აქვს დამხმარე მექანიზმები, რათა გააუმჯობესოს სტუდენტების აკადემიური მოსწრება, თუ მათი მოსწრება D შეფასებაზე დაბალია, ანუ სტუდენტებისთვის ინიშნება დამატებითი ლექციები და კონსულტაციები ლექტორებთან, რათა დაეხმარონ მათ თავიანთი მუშაობის გაუმჯობესებაში.

აკადემია სტუდენტებს სწავლის პერიოდში უზრუნველყოფს საჭირო რესურსებით, მათ შორის კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ცენტრებით. აკადემიური განვითარებისთვის, სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო

ელექტრონულ ჟურნალებზე და, როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები იყენებენ ამ რესურსებს თემაზე მუშაობისას. გარდა ამისა, ყველა სტუდენტს აქვს ინდივიდუალური ლეპტოპები, წვდომა სპორტულ კომპლექსებზე, საცურაო აუზზე, საერთო საცხოვრებლებზე, სასწავლო ცენტრზე, დასასვენებელ ზონაზე, კაფეტერიაზე და სამედიცინო ცენტრზე. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თავდაცვის სამინისტროს ყველა რესურსი.

აკადემიას აქვს უნიკალური ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა ,,მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის. პირველ რიგში, ეს პროგრამა სრულად ფინანსდება და, გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ სტიპენდიებს ჩარიცხვისთანავე, რომელიც შეიძლება გაიზარდოს მათი აკადემიური მოსწრების საფუძველზე, რაც ეხმარება მათ მოტივაციის ამაღლებაში, რომ წარჩინებით ისწავლონ.

ორივე პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტებს გამოიჩინონ ინიციატივა. როგორც ადგილზე გასაუბრებისას აღინიშნა, სტუდენტების ერთ-ერთი ინიციატივა იყო აკადემიის შესახებ პრეზენტაციების გაკეთება იმ სკოლებში, რომლებიც დაამთავრეს და იმ რეგიონებში, სადაც დაიბადნენ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა აკადემიამ, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას სამოქალაქო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ორივე პროგრამის სტუდენტები აცნობიერებენ პროგრამების მნიშვნელობას და როლს ქვეყნისთვის და აფასებენ ლექტორების კვალიფიკაციას და გამოცდილებას. აკადემია ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს ეწვიონ უცხოურ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ისწავლონ მათი გამოცდილებიდან.

კერძოდ, „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სრული დასაქმების მაჩვენებელი მეტყველებს იმაზე, რომ იგი სრულად ამზადებს სტუდენტებს მომავალი კარიერისთვის და აღჭურავს მათ საჭირო უნარებით, ცოდნითა და შესაძლებლობებით. „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩარიცხვისას უკვე დასაქმებულები არიან, მაგრამ როგორც ადგილზე ვიზიტისას იქნა აღიარებული, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმები
- დოკუმენტები და ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში
- ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეს სტანდარტი ეხება მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს. შესაბამისად, მხოლოდ პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა) იქნება განხილული.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
თვითშეფასების დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაციის, დამატებითი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე აკადემიას აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის და სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს. „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის როლს წარმოადგენს სტუდენტის კონსულტირება კვლევის პროცესში, უფრო კონკრეტულად, ხელმძღვანელის როლი არის:

- რჩევა მისცეს სტუდენტს თემის არჩევისას; გასცეს რეკომენდაციები გეგმისა და ბიბლიოგრაფიის მომზადების შესახებ; პერიოდულად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი; გააკეთოს შენიშვნები და რეკომენდაციები და, თუ კვლევა არასწორი მიმართულებით მიდის, მისცეს რეკომენდაციები მისი გამოსწორების შესახებ;
- შეაფასოს სტუდენტის ნაშრომი შესაბამისი სილაბუსით დადგენილი წესით; თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ამზადებენ ერთობლივ რეკომენდაციებსა და დასკვნებს და აკეთებენ ერთობლივ შეფასებას; იმუშაოს სტუდენტებთან პირისპირ ან დისტანციურად.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელები ასევე ასრულებენ შუამავლების როლს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და დეპარტამენტებთან და კვლევის თემის განმხილველ პირებთან. როგორც აკადემიის წესებით არის გათვალისწინებული, პროფესორს შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მაქსიმუმ 5 სტუდენტს. იქვე ნათქვამია, რომ ხელმძღვანელის მოვალეობაა ჩაატაროს რეგულარული კონსულტაციები სტუდენტთან და, როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, სტუდენტები რეგულარულად ხვდებიან თავიანთ ხელმძღვანელებს. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია საკვლევი თემის სპეციფიკაზე.

,,სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნის თანახმად, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ერთი პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალში, როგორც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობა, რაც აჩვენებს აკადემიის პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას სტუდენტების აკადემიური და სამეცნიერო განვითარების ხელშესაწყობად. როგორც უკვე განვიხილეთ 1.4 ქვესტანდარტის მე–7–ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ ეს სავალდებულო რეგულაცია ზედმეტად ზრდის სტუდენტების დატვირთვას თემაზე მუშაობისას და სტატიის რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნების პროცედურებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამაში ხელმძღვანელების და მაგისტრანტების რაოდენობას და შედეგად მიღებულ თანაფარდობას:

მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 2 („სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა, მეორე საფეხური)**	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**9**
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	**20**
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტ რანტების თანაფარდობა	**0.45**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა ან/და ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ხელმძღვანელთა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტთათანაფარდობა
- პროგრამაში ხელმძღვანელების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	**არ ფასდება**	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

3. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობისა და აკადემიის შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით ან პრაქტიკული პროექტებით, რომლებიც ადასტურებს მათ გამოცდილებას შესაბამის სფეროებში. მოწვეულ პერსონალს და მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საჭირო ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ლექტორების კვალიფიკაცია ასევე ემყარება მათ პროფესიულ გამოცდილებას. აკადემიური პერსონალის თითოეული წევრი ფეხდაფეხ მიჰყვება თავის სფეროში არსებულ უახლეს მოვლენებს, აქტიურად მონაწილეობს კვლევებში და აქვეყნებს აკადემიურ ნაშრომებს.

აკადემია ამჟამად ახორციელებს სემესტრზე დაფუძნებულ განახლებადი დატვირთვის სქემას აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სწავლებას, სტუდენტთა ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილ საათებს, კვლევას და სხვა გაწერილ მოვალეობებს. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ყველა თანამშრომელი აფილირებული იყოს დაწესებულებასთან. ეს აფილირება განიხილება, როგორც პროგრამის მდგრადობის სიძლიერე და გარანტი. აკადემია რეგულარულად ამოწმებს აფილირებას შესაბამისი მონაცემთა ბაზებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო დატვირთვა სტრუქტურირებულია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის გამართულ მუშაობას, რაც უზრუნველყოფს დაკისრებული ფუნქციების მდგრადობას და ხარისხიან შესრულებას. პერსონალისა და სტუდენტის თანაფარდობა განისაზღვრება სტუდენტის ჩარიცხვაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით. საანგარიშო პერიოდში მოხდა სამუშაო დატვირთვის განაწილება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად.

2020 წელს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელის (დირექტორის) თანამდებობა მილიტარიზებულია; ადრე ხელმძღვანელი იყო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამოქალაქო პირი. პროგრამის ფუნქციების შემდგომი მხარდაჭერისთვის, აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროგრამებს ჰყავდეს ადეკვატური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათი როლის შესაბამისი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც მოიხსენიება როგორც დირექტორი, იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას და აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შესამუშავებლად, რაც განმტკიცებულია შესაბამისი ტრენინგებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. დირექტორი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, ურთიერთობდა სტუდენტებთან და წვლილი შეიტანა სხვადასხვა დაგეგმილ ღონისძიებაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათი აფილირება, დარგობრივი გამოცდილება და ხარისხები.

პროგრამა 1 („მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[9]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[10]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**37**	**30**	**30**	**30**
- პროფესორი	5	3	3	5
- ასოცირებული პროფესორი	25	24	24	25
– ასისტენტ პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	3	3	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

როგორც პერსონალის დოკუმენტებიდან (CV) გამოვლინდა და, ასევე, დადასტურდა ადგილზე გასაუბრების დროს, რამდენიმე ადამიანი ასწავლის საგნების ფართო სპექტრს. ჩვეულებრივ, ერთი და იგივე ადამიანი ასწავლის კურსებს ერთი და იმავე დომენში (მაგ., ლოგისტიკა ან ეკონომიკა), მაგრამ არა ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა დომენში. მიზეზი არის ის, რომ უმაღლესი განათლება არის უაღრესად სპეციალიზირებული და მოითხოვს თეორიების, მეთოდების, კონცეფციების, ქეისებისა და აპლიკაციების გამოყენების

[9] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

დეტალურ ცოდნას შესაბამის სფეროებში. გარდა ამისა, აკადემიური ცოდნა ძალიან სწარფად ვითარდება. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

რჩევა 3: სასურველია, შემცირდეს ერთი და იმავე აკადემიური პირის მიერ განხორციელებული საგნობრივი სფეროების რაოდენობა. პირის სასწავლო დატვირთვა უნდა მოიცავდეს ერთი და იმავე ან მომიჯნავე სფეროებს.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის ხელმძღვანელს, რომელსაც მიმართულების ხელმძღვანელად მოიხსენიებენ, აქვს ამ სფეროში ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება და ფლობს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ ცოდნას. ქვემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს აფილირების, დარგობრივი გამოცდილების და ხარისხების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობას.

პროგრამა 2 („სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[11]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[12]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**20**	**12**	**12**	**16**
- პროფესორი	3	2	2	3
- ასოცირებული პროფესორი	13	7	7	13
– ასისტენტ პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	**4**	**3**	**3**	**–**
სამეცნიერო პერსონალი	**-**	**-**	**-**	**–**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის წევრების პირადი მონაცემები (CV–ები)
- თვითშეფასების ანგარიში
- სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

[11] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[12] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული. **კლასტერის საერთო**

რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 („მენეჯმენტის" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა)

რჩევა 3: სასურველია, შემცირდეს ერთი და იმავე აკადემიური პირის მიერ განხორციელებული საგნობრივი სფეროების რაოდენობა. პირის სასწავლო დატვირთვა უნდა მოიცავდეს ერთი და იმავე ან მომიჯნავე სფეროებს.

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/

თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
ამ კომპონენტის მოთხოვნები არ ვრცელდება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
აკადემიაში დასაქმებული აკადემიური/მოწვეული პერსონალი გამოირჩევა დარგის სიღრმისეული ცოდნით. თითოეული მაგისტრანტის აკადემიური ხელმძღვანელი აღჭურვილია უახლესი ცოდნით, ატარებს აკადემიურ კვლევით საქმიანობას და ფლობს სამაგისტრო ნაშრომების ზოგად ან/და სპეციფიკური თემების შესაბამის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებით.

პროგრამა 2 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სახელმწიფო რესურსების მართვა")			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით	მათ შორის, აფილირებულ აკადემიურ პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**20**	**12**	**16**
- პროფესორი	3	2	3
- ასოცირებული პროფესორი	13	7	13
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	3	_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- CV-ები
- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	**არ ფასდება**	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიამ მიღებული აქვს "სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელო", რომლის მიზანია აკადემიის შეფასების მეთოდებისა და სისტემების გამოკვეთა და მასთან დაკავშირებული პროცესების რეგულირება. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების პროცედურებს, ჩართულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, ურთიერთობებს და შეფასების პროცესის ძირითად პრინციპებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეავსოს თვითშეფასების ფორმა, რომელიც წარედგინება შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს. ამ წარდგინების საფუძველზე ერთეულის ხელმძღვანელი პრორექტორთან ერთად აფასებს აკადემიურ პერსონალს. სამხედრო მოსამსახურეების შეფასებები ტარდება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების (ოფიცერთა და სერჟანტთა) შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად“. აკადემია რეგულარულად აფასებს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს და კმაყოფილების გამოკითხვების შედეგების გამოყენებით აანალიზებს შედეგებს. შეფასებები მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით საქმიანობას. „სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელოს“ მიხედვით, შეფასების განსაკუთრებულ შედეგებს შეიძლება მოჰყვეს აღიარება, როგორიცაა მადლობის ბარათი, ხოლო თანამშრომლებმა ასევე შეიძლება მიიღონ ფინანსური ჯილდოები.

პერსონალი ასევე მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და მივლინებებში, გამოცდილების გაცვლაში საერთაშორისო სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ესწრება კონფერენციებს და ეწევა სხვადასხვა კვლევით საქმიანობას. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აკადემია ძალიან აქტიურია პერსონალის მხარდაჭერაში შესაბამისი რესურსებით, რომლებიც საჭიროა აკადემიურ/სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა პროგრამები „ეფექტური სწავლებისა“ და „ტრენერების ტრენინგის“ მიმართულებით, რომლებიც ორიენტირებულია სასწავლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასების სახელმძღვანელო
- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერსონალის (ოფიცერთა და სერჟანტთა) შეფასების სახელმძღვანელო
- სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელო

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებ ს**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში განხორციელებული პროგრამები შეესაბამება ნატოს

სტანდარტებს და აღჭურვილია უახლესი ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიით. დაწესებულება მოიცავს სალექციო დარბაზებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის ოფისებს, კომპიუტერულ ცენტრებს, საერთო საცხოვრებლებს, სიმულაციურ ცენტრს, სპორტულ და სასწავლო ობიექტებს, დასასვენებელ ფართს, კაფეტერიას და სამედიცინო ცენტრს. გარდა ამისა, აკადემიას წარმატებით აქვს დანერგილი ელექტრონული სასწავლო პლატფორმა. აქ, ასევე, არის თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი, სადაც ტარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდები.

ბიბლიოთეკას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის (eIFL)“, რომელიც მოიცავს შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე წვდომას:

- Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core) (კემბრიჯის ონლაინ ჟურბალები)
- e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/) - ე-დიუკ ჟურნალების მკვლევართა კოლექციები
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books ედუარდ ელგარის საგამომცემლო ჟურნალები და განვითარების კვლევების ელექტრონული წიგნები (https://www.elgaronline.com/page/70/journals)
- ედუარდ ელგარის საგამომცემლო ჟურნალები
- ევროპული რესპირატორული ჟურნალი
- IMechE Journals - IMechE ჟურნალები
- მათემატიკური მეცნიერებების საგამომცემლო ჟურნალები
- Openedition-ის ჟურნალები
- სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექცია (https://royalsociety.org/journals/)
- SAGE-ის ჟურნალები.

ამ თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, აკადემიას შეუძლია სტატიების გამოქვეყნება სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალში უფასოდ ან 50%-იანი ფასდაკლებით. გარდა ამისა, აკადემია რეგულარულად იღებს მასალებს როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან, ასევე პარტნიორი დაწესებულებებიდან.

ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად, მათ საჭიროებებზე და კვლევებზე დაყრდნობით, ორგანიზებულია სხვადასხვა აქტივობა, ტრენინგი და სხვა ინიციატივა. წამახალისებელი ღონისძიებები ასევე არის აკადემიის ოპერაციული საქმიანობის ნაწილი. ადმინისტრაციის ინფორმაციით, აკადემია სრულად უჭერს მხარს სტუდენტებისა და თანამშრომლების მიერ დაწერილი სტატიების გამოქვეყნებას. მას აქვს საკუთარი სტამბა. თავდაცვის სამინისტროს ასევე აქვს სტამბა, რაც აადვილებს ბეჭდვის პროცესს. ასევე ფინანსურად მხარდაჭერილია საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა. მაგალითად, ერთმა პროფესორმა აღნიშნა, რომ იგი დააფინანსეს კრაკოვის აკადემიაში სწავლისათვის, ხოლო მოწვეულმა ლექტორმა თქვა, რომ მან მონაწილეობა მიიღო რუმინეთში Erasmus+ გაცვლით პროგრამაში.

კიდევ ერთმა პროფესორმა აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო ინფრასტრუქტურა ენერგეტიკისა და უსაფრთხოების შესახებ მისი კვლევის მხარდასაჭერად და რუსთაველის ფონდისა და უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსებით მან გამოსცა სახელმძღვანელო მაკროეკონომიკაზე. ამასთან ერთად, უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თანამშრომლებს სთავაზობენ ყოვლისმომცველ სამედიცინო დაზღვევას, რომელიც მოიცავს როგორც თანამშრომლებს, ასევე მათი ოჯახის წევრებს. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრო ფარავს თანამშრომელთა შვილების განათლების საფასურის ნახევარს.

დაბოლოს, 2010 წლიდან უნივერსიტეტი რვა ავტობუსისგან შემდგარი პარკის მეშვეობით ახორციელებს თბილისში მცხოვრები პერსონალის სატრანსპორტო მომსახურებას, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს მისი თანამშრომლების კეთილდღეობასა და კომფორტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დაწესებულებაში ვიზიტი,
- ბიბლიოთეკის კატალოგი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის ორივე პროგრამა ფინანსურად მდგრადია და აქვს საკმარისი რესურსი შეუფერხებლად წარმართვისათვის. აკადემია ოპერირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. როგორც „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონშია ასახული, აკადემია არის სამინისტროს დაქვემდებარებული ქვეპროგრამის „29 02 02 - სამხედრო განათლება“ ნაწილი, რომლის ძირითადი დაფინანსება მოდის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, აკადემიის დაფინანსება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის:

1. შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით
2. გრანტებით მიღებული შემოსავლით
3. კონტრაქტის საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლით
4. შემოწირულობებით
5. კანონით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

პროგრამების დაფინანსებისათვის ხელმისაწვდომი რესურსები საკმარისია პროგრამების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და განსაზღვრული კონტიგენტის მაღალი ხარისხის სწავლებით უზრუნველსაყოფად. აკადემიის ბიუჯეტში ასევე შედის სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მუხლები. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ხარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებასთან, ფაკულტეტის სახელმძღვანელოების ბეჭდვასთან, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან და

მივლინებების დაფინანსებასთან. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამტკიცებული ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების მიღება.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
საბაკალავრო პროგრამისათვის "მენეჯმენტი" გამოყოფილია 80 250.00 ლარი პერსონალის ხარჯებისათვის და დამატებითი ფინანსური რესურსები აუდიტორიების აღდგენისა და ბიბლიოთეკის რესურსების განახლებისთვის.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
„სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 207 882.00 ლარს, რომელიც ფარავს პერსონალის შრომის ანაზღაურების აუცილებელ ხარჯებს, პერსონალის ბონუსებს, ავეჯისა და ბიბლიოთეკის რესურსის განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების ბიუჯეტები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

4. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინაციას უწევს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც სტრუქტურულად ექვემდებარება დაწესებულების რექტორის პირველ მოადგილეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უნივერსიტეტის მართვის ძირითადი ორგანოს, მთავარი ამოცანაა სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობენ პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და ამ შეფასებების განხორციელებაში. შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში და პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურებში. გადამწყვეტად ითვლება თვითშეფასების პროცესი, რომელიც ეფუძნება სტუდენტთა კვლევებს, კურსდამთავრებულთა ფოკუს ჯგუფის ანგარიშებს, დამსაქმებელთა გამოხმაურებას და საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების მომზადებაში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებით, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერით და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებით. ისინი მუშაობენ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით, რათა გამოავლინონ სტანდარტებთან შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიმუშავონ რეკომენდაციები გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად. ამ პროცესების უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს მისი საქმიანობას მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად. აკადემიას აქვს კარგად დაგეგმილი პროცედურები მიმდინარე პროცესების შესაფასებლად და მიჰყვება გაუმჯობესების უწყვეტ ციკლს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ პრინციპზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გამოკითხვებში არა მხოლოდ იძლევა მნიშვნელოვან გამოხმაურებას, არამედ ასევე ხელს უწყობს ერთობლივ პასუხისმგებლობას პროგრამის გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდებით, ასევე რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემებით, წარმოადგენს რეგულარულ პროცესს. ეს დადასტურდა

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებისას გაზიარებული ინფორმაციით. გარდა ამისა, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვები ტარდება მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის რესურსებით კმაყოფილების შესაფასებლად. კითხვარები პერიოდულად ახლდება, ხოლო გამოკითხვის პროცესში გამოიყენება როგორც რეკომენდებული, ასევე სფეროს სპეციფიკური კითხვარები.

გასაუბრებებმა ასევე აჩვენა, რომ კითხვარების ანალიზთან ერთად, ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. აქტიურად მოქმედებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შეფასებაში კოლეგიური შეფასების სისტემა. პროფესორებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კოლეგიური დაკვირვების ფარგლებში კოლეგები, პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები რეგულარულად ესწრებიან მათ ლექციებს. ამ ვიზიტებს ამტკიცებს და განრიგს ადგენს აკადემიური საბჭო. როგორც ხარისხის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, „ჩვენ ყველანი ვესწრებით გრაფიკის მიხედვით. დასწრება ამ სემესტრშიც გრძელდება და თუ ლექტორთან რაიმე გასაუმჯობესებელი მხარე გამოვლინდა, დასწრება გახშირდება. შემდეგ ლექტორს მიეწოდება რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში ვთავაზობთ ტრენინგს. მაგალითად, ერთ ლექტორს ურჩიეს ტრენინგი სწავლების მეთოდებში, მას შემდეგ, რაც დაფიქსირდა, რომ მისი მეთოდები ძალიან ერთფეროვანი იყო და მან შემდეგ გაიარა ეს ტრენინგი“.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ „პერსონალს მოეთხოვება ადმინისტრაციულ საათებში ყოფნა აკადემიაში და ამ დროის განმავლობაში ისინი, კოლეგიური დასწრების ფარგლებში, ესწრებიან სხვა ლექტორების ლექციებს“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღება გამახვილებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე სამხედრო საქმეებთან დაკავშირებით. როგორც ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა ვიცე-პოლკოვნიკმა თქვა, „მე ვაკონტროლებ ამ სფეროში კურსდამთავრებულთა აკადემიურ პროგრესს“.

უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს. ხარისხის წარმომადგენლების თქმით, „ნატოსთან ეფექტური თანამშრომლობა დაიწყო 2011 წელს და მხოლოდ წელს საერთაშორისო მასშტაბით 200 ღონისძიებაა დაგეგმილი“. ასევე აქტიურად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის შეფასება. აკადემიური პერსონალის თქმით, „გვაქვს წლიური ანგარიშის ფორმა, რომელსაც ვავსებთ სასწავლო წლისათვის და რომელიც მოიცავს სხვადასხვა, როგორც სამეცნიერო, ისე სხვა აქტივობებს. გვაქვს ინდივიდუალური დატვირთვის გეგმები და სემესტრის ბოლოს ვადგენთ ანგარიშს. ჩვენ მოგვეთხოვება 400 ქულის შესრულება, სხვადასხვა აქტივობის წილით ამ ჯამურ ოდენობაში“.

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, შეგროვებული მონაცემები შემდგომ მუშავდება სამსახურის მიერ და პერსონალს ეგზავნება რჩევები, რომლებშიც ხაზგასმულია გასაუმჯობესებელი სფეროები. გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალისათვის აქტივობები იგეგმება

ინდივიდუალურად. პერსონალის მიერ შესასრულებელი სამეცნიერო და პრაქტიკული საათები ასახულია მათ ხელმოწერილ კონტრაქტებში. შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად უწევს კონსულტაციას აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მის შეფასებასთან დაკავშირებით სტუდენტების გამოკითხვა წარმოებს სისტემატურად. ასევე აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელების, პროგრამის პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის შეხვედრაში, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი წარმართვა, პროგრამის შემუშავება და სილაბუსების მომზადება. გამოხმაურების საფუძველზე, ინდივიდუალური კურსები მუდმივად მოდიფიცირდება და გამოიყენება სხვადასხვა საკონსულტაციო და ტრენინგის ფორმატები.

ახალი რეგულაციების შემოღების ან შიდა პოლიტიკის განახლებისას მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებიდან და რეგულაციებიდან შეგროვებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში. ამრიგად, შიდა ხარისხის მექანიზმი შეესაბამება "დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე და იმოქმედე" ციკლს, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას. საერთო ჯამში, კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიერ გამოყენებული ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები ჯანსაღი და ეფექტურია.

შეხვედრების დროს, გასაუბრებებიდან გაირკვა, რომ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და მიიჩნევს, რომ მათი გამოყენება ეფექტურია პროგრამის გაუმჯობესებისა და პიროვნული განვითარებისათვის. შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზები აქტიურად განიხილება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც იწვევს ღირებულ რეკომენდაციებს და შესაბამის ცვლილებებს ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით. გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებულია პერსონალის შეფასების შედეგები, რაც ზრდის პროფესორების პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში და მჭიდროდ მუშაობდნენ თვითშეფასების ჯგუფთან. თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის სტრუქტურა შეიცვალა წინასწარი აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე. აშკარაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ფოკუსირდება სტუდენტებზე და მისი მიზანია სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება.

აკადემიაში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხი, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და დროული რეაგირება. წარმოდგენილ კლასტერში საგანმანათლებლო პროგრამები იყენებს ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმებს დაწესებულების ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად. ეს მექანიზმები ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგისა და მუდმივი გაუმჯობესების პრინციპებს. დოკუმენტების მიმოხილვა და ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, რომ კლასტერში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და გაუმჯობესების წესებს, სამეცნიერო პერსონალის მუშაობის შეფასებას, სტუდენტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგს, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესწავლას და დამსაქმებლის საჭიროებებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზს. ეს ინსტრუმენტები მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის და აკადემიური პერსონალის განვითარების შეფასებას და გაუმჯობესებას.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და გაუმჯობესება, პერსონალის აქტივობების შეფასება და გაუმჯობესება, სასწავლო რესურსები, სერვისები და სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია - ყველაფერი მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფიასკენ. ეს პროცესი მოიცავს პერიოდულ შესწავლას და რეკომენდაციების შემუშავებას. თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აკრედიტაციის წინა პერიოდში მუშაობა კარგად იყო კოორდინირებული და აქტიურად განხორციელებული. განხილული იყო საგანმანათლებლო კურსების სწავლის შედეგებსა და აქტივობების მიღწევებს შორის კავშირი და დაფიქსირდა შეფასების კრიტერიუმებში არსებული ხარვეზები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. იგი შეიმუშავებს ამ პროცესის შესაფასებლად აუცილებელ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასებების სიხშირეს, ატარებს შეფასებებს და შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით იძლევა რეკომენდაციებს განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მონაწილეობენ სამსახურის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში. ეს შეხვედრები მოიცავს სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებულ ტრენინგებს, პროგრამისა და სილაბუსის შეფასებას და შეხვედრებს, რომლებიც ორიენტირებულია ახალი რეგულაციების შემოღებასა თუ შიდა რეგულაციების განახლებაზე.

პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას აკადემიური და მოწვეული პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რადგან ისინი კარგად არიან ინფორმირებულები და იყენებენ გამოკითხვის შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს. ამ გამოკითხვების შედეგები განიხილება პროგრამის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასაახლებლად და პროფესორების მუშაობის უკეთ დასაგეგმად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საქმიანობის წესები პროგრამის მენეჯერებისათვის
- გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები
- შეხვედრების ოქმები
- განმავითარებელი თანატოლების შეფასება
- გარე ხარისხის შეფასების შედეგები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევითი ანგარიშები
- დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიშები
- გარე ექსპერტების შეფასებები
- პროგრამის შიდა და გარე შეფასების ანალიზი
- უნივერსიტეტის სტრუქტურა
- დაწესებულებაში ვიზიტი,

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებ ს**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ნათლად ჩანს, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მომზადებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარე შეფასებების შედეგები (აკრედიტაცია, მონიტორინგი, ავტორიზაცია) სრულად იქნა გათვალისწინებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნებისათვის. მთელი შესაბამისი ინფორმაცია გარე შეფასებების ჩატარებასთან და პოტენციურ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით გაზიარებული იყო დაინტერესებულ მხარეებთან.

აღსანიშნავია, რომ კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებისათვის დამსაქმებლების აზრის გამოკითხვა, პროგრამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობით, დაგეგმა და ჩაატარა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა. ხარისხის წარმომადგენლების თქმით, პროგრამებზე გამოხმაურების მისაღებად, კლასტერში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები წინასწარ გაეგზავნა დამსაქმებლებსა და გარე ექსპერტებს. შედეგად ამ გარე შემფასებლებისგან მიღებულ იქნა წერილობითი გამოხმაურება.

პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა წინა ჯგუფმა მიიღო დოკუმენტები ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტები წარმოდგენილი იყო დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ხარისხის გარე შეფასების წინა ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, როგორც სამწლიანი აკრედიტაციის ანგარიშის ნაწილი. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად, როგორც 1-ლი, ასევე მე-2 სტანდარტი სრულად იქნა განხილული პირველი პროგრამისათვის.

არსებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ცხადია, რომ აკრედიტაციის წინა ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები სრულად იქნა მიღებული.

მაგალითად, პროგრამის სტრუქტურას დაემატა სავალდებულო კურსები, როგორიცაა „რისკების მართვა“ და „თვითმართვა და დროის მენეჯმენტი“. გარდა ამისა, დაინერგა საკონსულტაციო მომსახურება და 1-ელ პროგრამაში ჩართულია პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის სახით. შედეგად, სტუდენტებს ახლა მათი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სტაჟირება სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებში.

დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ამ საბაკალავრო პროგრამაში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, რაც შეესაბამება მათ რჩევებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის განვითარებისას განიხილეს შემდეგი მსგავსი პროგრამები როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის: საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება", მოდული "მენეჯმენტი"
2. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის: საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა"
3. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა "მენეჯმენტი"
4. ვარშავის ეკონომიკის სკოლის (SGH): საბაკალავრო პროგრამა "მენეჯმენტი"

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისა და SGH ვარშავის ეკონომიკის სკოლის პროგრამებს აქვთ საერთო კურსები, განსაკუთრებით მენეჯმენტისა და ეკონომიკის ფუნქციურ სფეროებში“. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება SGH ვარშავის ეკონომიკის სკოლის მიზანს. ორივე პროგრამა იძლევა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მყარ საფუძველს მენეჯმენტსა და მასთან დაკავშირებულ დისციპლინებში. არის ასევე თანხვედრა კვლევის კომპონენტებშიც, რადგან ორივე პროგრამა მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიის კურსს.

პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

წარმოდგენილი პროგრამა ადრე შეფასდა გარე ექსპერტების მიერაც. ერთ-ერთი გარე შეფასების ექსპერტის - თავდაცვის განათლების გაუმჯობესების პროგრამის (DEEP) წარმომადგენლის დასკვნის მიხედვით, „პროგრამა წარმოადგენს მიდგომას, რომელიც ხაზს უსვამს ეროვნული უსაფრთხოებისა და სტრატეგიის განვითარებას, რაც მიიღწევა ისეთი საგნების ჩართვით, როგორიცაა ეკონომიკა, დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, რაც კრიტიკულია 21-ე საუკუნეში საქართველოს ეროვნული რესურსების უსაფრთხოების სექტორში პროფესიონალების მოსამზადებლად“.

საქართველოს სტრატეგიული ცენტრის წარმომადგენლების შეფასებით, პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით და პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერდა კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების უზრუნველსაყოფად. როგორც ამ ჯგუფი აღნიშნავს, „სხვადასხვა ადგილობრივი, საერთაშორისო სამხედრო და სამოქალაქო უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ უსდ აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ეიზენჰაუერის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და რესურსების სტრატეგიის სკოლასთან. ამ თანამშრომლობის შედეგად, პროგრამაში „სახელმწიფო რესურსების მენეჯმენტი“ ჩართულია ეიზენჰაუერის სკოლის ექსპერტებისა და საქართველოში პროფესიული დასაქმების სფეროს წარმომადგენლების რჩევები, ასევე სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკა“.

ასევე გათვალისწინებულია კურსდამთავრებულების რჩევები. სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული ერთ-ერთი კურსდამთავრებულის თქმით, სამაგისტრო ნაშრომი დაეხმარა მას ამ სფეროში ღირებული გამოცდილების მიღებაში. კიდევ ერთი კურსდამთავრებული ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო დონის სტრატეგიული აზროვნება პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, რაც მას მეტად ღირებულს ხდის. დამსაქმებლის თქმით, წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვანია. თავდაცვის სამინისტრო რეგულარულად უჭერს მხარს პროგრამის კურსდამთავრებულებს. გარდა ამისა, დამსაქმებლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით ჩვენ ვმონაწილეობთ წარმოდგენილი პროგრამების განვითარებაში“. მან ასევე განმარტა, რომ „ნატოს წარმომადგენლები ეხმარებიან ნატოს სტანდარტების დანერგვაში. ამ პროცესს მხარს უჭერენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. სტუდენტები და კურსდამთავრებულები იგზავნება სხვადასხვა ქვეყანაში თავდაცვისა და უსაფრთხოების სხვადასხვა კომპონენტების გასაძლიერებლად“.

დოკუმენტების ანალიზმა, ინტერვიუებმა და სხვა უნივერსიტეტებთან შედარებამ გამოავლინა სასწავლო კურსების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების დაახლოება კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის კურსებთან. გარდა ამისა, პროგრამა შეესაბამება მსგავს პროგრამებს ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი. ეს პროგრამები, ისევე როგორც წარმოდგენილი, იზიარებს საერთო კურსებს საჯარო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის მიმართულებით და აქცენტს აკეთებს პრაქტიკულ კომპონენტებზე, რათა აღჭურვოს სტუდენტები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში კარიერისათვის აუცილებელი უნარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფების ანგარიშები
- პროგრამების გარე ექსპერტების შეფასებები
- სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები/საბჭოს ოქმი
- პროგრამის შიდა და გარე შეფასების ანალიზი
- ანალოგიების დოკუმენტები

- დაწესებულებაში ვიზიტი,

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასებ

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებ ს**
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ირკვევა, რომ კლასტერის პროგრამების განვითარებაში ცენტრალური როლი ენიჭება აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შიდა თვითშეფასებას. ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული პროგრამების შიდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებასთან, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამების შეფასების საფუძველზე ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას. შეგროვებული მონაცემები შემდეგ გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიზნობრივი ინტერვენციების დასაგეგმად. რეგულარული კვლევები მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, კურსებთან დაკავშირებულ სტუდენტების სემესტრულ გამოკითხვებს, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს და სტუდენტების გამოხმაურების საფუძველზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, პროგრამის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროგრამის სამიზნე შედეგების მუდმივი მონიტორინგი და სემესტრულად დამუშავებული სტუდენტების აკადემიური მოსწრების მუდმივი შეფასება. ასევე რეგულარულად ტარდება შეფასებები დამსაქმებლისა და გარე ექსპერტების მიერ, რაც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებისადმი ყოვლისმომცველ მიდგომას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების, დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში შესაძლებლობების გაძლიერების მცდელობები ხორციელდება მუდმივად პროგრამის მსვლელობის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და დამტკიცების პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მეთოდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ

არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

მითითებული.

- დაწესებულებაში ვიზიტი,

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა:	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ შეესაბამება მოთხოვნებ ს
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	არ შესსაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 ("სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეორე საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

შტეფან ვეითი

აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი,

გვარი, ხელმოწერა